დღეს დაიწყო აღწერა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 იანვარი ხუთშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი ● № 11 (14615)

ერთვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობისათვის აღწერათა მონაცემებს პირველხარისხოვანი და სახელმძღვანელო მნიშვნელობა ენიჭება.

ვ. ი. ლენინი

● *ძვირფასო მკითხველო! 15 იანვრიდან 22 იანვრამდე თქვენთან მოვა აღმწერი, რომელსაც მიცემული აქვს დიდმნიშვნელოვანი დავალება. გულითადად შეხვდით და სრული, ნათელი პასუხი გაეცით საყოველთაო აღწერის კითხვებზე!*

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე

გ. ჟორჟიკაშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი

დღეს, 15 იანვარს იწყება უდიდესი სახელმწიფოებრივი, სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის საქმე — მთელი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აღწერა, რომელიც 8 დღეს გაგრძელდება და დამთავრდება 22 იანვარს. მოსახლეობის აღწერის ჩატარება განპირობებულია ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მართვა-გამგეობისათვის აუცილებელი მონაცემების საჭიროებით.

ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის აღწერის ჩატარება ნაწილია მსოფლიოს აღწერისა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური კომისიის რეკომენდაციით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ეწყობა 1970 წელს.

მოსახლეობის აღწერის მიზანია მიღებულ იქნას ზუსტი და სრული ცნობები ერთიანი პროგრამით და ერთი და იმავე თარიღისათვის მოსახლეობის რაოდენობის, აგრეთვე მისი განლაგების შესახებ თვითეული რაიონის, სოფლის, ქალაქის და რესპუბლიკის მიხედვით, მათი დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიური ნიშნების მიხედვით, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის შედგენისა და მისი განხორციელების საქმეს. მოსახლეობის 1970 წლის აღწერის პროგრამა შედგენილია ჩვენი ქვეყნის განვითარების ახლანდელ მოთხოვნათა შესაბამისად და მისი მოცულობა ბევრად აღემატება წინა აღწერისას. მასში შეტანილია ბევრი ახალი კითხვა, რომელსაც ამჟამად აქტუალური მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, დედაენასთან ერთად აღირიცხება სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენაც, რომელსაც თავისუფლად ფლობს გამოსაკითხი პირი, განათლების შესახებ კითხვა უფრო დეტალურად არის მოცემული. საალღწერო ფურცლის სამი კითხვა მთლიანად მოსახლეობის მიგრაციის (ადგილგადანაცვლების) პროცესის შესწავლას შეეხება. ცნობილია, რომ სოციალისტური საზოგადოების პირობებში იგრძნობა მუშახელის გარკვეული ნაკლებობა და, მაშასადამე, აღწერას ჩვენში აინტერესებს არა უმუშევართა აღრიცხვა, ვინაიდან ისინი ჩვენში არ არიან, არამედ გამოვლინება დამატებითი შრომითი რესურსებისა, რომლებიც შეიძლება ჩავაბათ საზოგადოებრივ წარმოებაში.

ამ მიზნით ახლანდელი აღწერის დროს მოხდება იმ შრომისუნარიანი ასაკის პირთა აღრიცხვა, რომელნიც ამჟამად დასაქმებული არიან საშინაო და პირად დამხმარე სოფლის მეურნეობაში, შესწავლილი იქნება მათი საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმების სურვილი და შესაძლებლობა.

პარტია და მთავრობა ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ანიჭებენ მოსახლეობის აღწერას. ცნობილია, რომ მოსახლეობის პირველი საბჭოთა აღწერა მოეწყო ვ. ი. ლენინის ინიციატივით და ხელმძღვანელობით 1920 წლის აგვისტოში. მისი მონაცემები საფუძვლად დაედო დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და კულტურული მშენებლობის ღონისძიებათა შემუშავებას და გამოყენებული იყო გოელროს გეგმის შედგენის დროს. ვ. ი. ლენინი წერდა: „საბჭოთა რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობისათვის აღწერათა მონაცემებს პირველხარისხოვანი და სახელმძღვანელო მნიშვნელობა ენიჭება". ყოველმა შემდეგმა აღწერამ (1926, 1939, 1959 წ.წ.) მდიდარი და ძვირფასი მასალა მოგვცა სახელმწიფო მმართველობის, საგეგმო ორგანოებისა და სამეცნიერო ორგანიზაციებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარებული აღწერის მონაცემები ერთხელ კიდევ დაადასტურებენ იმ უდიდეს ძვრებს, რომლებიც საქართველოს შრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელეს საბჭოთა პერიოდში.

საქართველო მომავ რესპუბლიკათა შორის ერთ-ერთი მრავალეროვანი რესპუბლიკაა. მოსახლეობის 1959 წლის აღწერით ჩვენს რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ 80-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები. საოფიციალოთად აღიარებულია სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებაში მიღწეული წარმატებები: 1968 წელს სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ 72-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს. რეგოლუციამდელ საქართველოში მოსახლეობის 76 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ახლა საქართველო წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის რესპუბლიკაა. 1968 წელს ყველა სახის სწავლებაში ჩაბმული იყო ერთი მილიონ სამასი ათასი კაცი.

დიდი ცვლილებები მოხდა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში წინა აღწერიდან განვლილ პერიოდში. მოსახლეობის რიცხვი გადიდდა 720 ათასზე მეტი კაცით. გაშლილი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ზრდის შედეგად სახე იცვალეს ჩვენმა ქალაქებმა და სოფლებმა. ქალაქ თბილისში ბევრი საცხოვრებელი მასივი: ელმავალსამშენებლო ქარხნის სანზონის, დიღმის დასახლებები, საბურთალოს და მესამე მასივები პირველად მიიღეს აღწერის მუშაკებს. ბევრი სოფელი კეთილმოწყობით და სამრეწველო მნიშვნელობით უკვე დაბად იქცა, 1959 წელთან შედარებით ქალაქების რიცხვი გადიდდა 18 ერთეულით, დაბებისა — 22 ერთეულით.

მოსახლეობის აღწერა უდიდესი სტატისტიკური ოპერაციაა, რომლის წარმატებით ჩატარებაში მთავარია ის, რომ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა აღწერის მუშაკებს შეუქმნან მუშაობის ნორმალური პირობები, რადგან მათ კეთილსინდისიერ მუშაობაზეა დამოკიდებული აღწერის მასალების ხარისხი.

დარწმუნებული ვართ, რომ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, მთელი საზოგადოებრიობა ყოველმხრივ შეუწყობს ხელს აღწერის მუშაკებს მთავრობის მიერ დაკისრებული პასუხსაგები და საპატიო ამოცანის წარმატებით შესრულებაში.



მანძანები ემსახურებიან აღწერას

დიდი გამოცოცხლებაა ამ დღეებში ჩვენს დედაქალაქში. პეკინის ქუჩაზე ახლადაგებულ დიდ და ნათელ შენობაში მოთავსებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო. აქ, აღწერის მთავარ ტექნიკურ შტაბში დაიწყება აღწერის მასალების მიღება ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან.

— დიდი მუშაობა მოელის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითს ცენტრს, — გვეუბნება გამოთვლითი ცენტრის მთავარი ინჟინერი დ. ყვანია. — ჩვენმა კოლექტივმა უნდა დაამუშაოს და დაახარისხოს აღწერის მრავალი მასალა. ამ საქმეში დაგვეხმარება თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკა. სურათებზე: მარჯვნივ — საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი ცენტრის ტაბულაციის ჯგუფი, სადაც მოხდება აღწერის მასალების პერფობარათების დახარისხება და ბეჭდვა. მარცხნივ — გამოთვლითი ცენტრის დამახარისხებელი მანქანა, რომელზეც დახარისხდება პერფობარათები პირველადი ჩანაწერებით.

ტექსტი და ფოტო ს. კილაძისა.

ხუთი მილიარდი პასუხი

„კმთილი იყოს თქვენი მობრძანება!" ამ ტრადიციული სიტყვებით ყოველ სახლში შეხვდებიან მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის აღმრიცხველებს. აღწერა, რომელიც დღეს, 15 იანვარს იწყება, იქნება საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მეხუთე აღწერა. აღწერის მთავარი შტაბი გაწყვეტილია მოსკოვში კიროვის ქუჩაზე. სწორედ აქ გაიმართა საკავშირო კორესპონდენტის საუბარი სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კოლეგიის წევრთან, მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის სამმართველოს უფროსთან ჯ. ბ. პოდიაჩიხთან.

კითხვა. როგორ არის დასახული მოსახლეობის აღწერა, რა ვადებში?

პასუხი. აღწერა იწყება 15 იანვარს დილის 8 საათზე და დამთავრდება 22 იანვარს. ამ პერიოდში აღმრიცხველები — ისინი კი 550 ათასია — შეავლენ ყოველ სახლში, ყოველ ოჯახში. საალღწერო ფურცლის შევსების დღის მიუხედავად, გადაწყვეტილია მოსახლეობის აღრიცხვა ვიწარმოოთ 14 იანვრის ღამის 12 საათის მდგომარეობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ოჯახში შუაღამის შემდეგ დაბადება ბავშვი, საალღწერო ფურცელში იგი ვერ მოხვდება. სამეგ ის არის, რომ დღე-ღამის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მოსახლეობა იზრდება ექვსი ათასზე მეტი კაცით. და თუ გავითვალისწინებთ აღწერის რვა დღეში დაბადებულ ყველა ბავშვს, მაშინ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რიცხვი გადაჭარბებული გამოვა.

აღწერის დროს საჭირო არ არის რაიმე დოკუმენტის წარდგენა. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში აღმწერს შეუძლია მოითხოვოს მასპორტი. განსაკუთრებული შემთხვევაა შეხვედრა ადამიანთან, რომელსაც ისი და მეტი წელი შეუსრულდა. ახლანდელი აღწერის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასაკობრივი შემადგენლობის ზუსტ აღრიცხვას. ასეთი ცნობები სჭირდებათ მართვისა და დაგეგმვის ორგანოებს, მეცნიერებს.

აღწერა ეწყობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. არავითარ შეთხვევაში იგი დაკავშირებული არ იქნება ჩაწერასთან, აგრეთვე საცხოვრებელი ფართობის უფლებასთან. მთავარია ზუსტად აღვრიცხოთ მთელი მოსახლეობა, არ გამოგვრჩეს არც ერთი კაცი. თუ აღმწერები გამოტოვებენ ჩვენი ქვეყნის თუნდაც თითო მცხოვრებს, „დაკარგავთ" 550 ათას კაცს, ესე იგი დიდი ქალაქის მოსახლეობას.

საალღწერო ფურცლები უნდა შეავსონ როგორც მუდმივმა მცხოვრებლებმა, რომლებიც აღწერის დროს სახლში არიან, ისე დროებით წასულებმა, — რომლებიც მგზავრობაში თუ დასასვენებლად არიან წასული.

მუდმივ და სახლში მყოფი მოსახლეობის აღრიცხვა ძალიან დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა. იგი ხელს შეუწყობს მოსახლეობის აღწერის სიზუსტეს. ასეთი მონაცემებით განსაკუთრებით დაინტერესებული არიან საგეგმო ორგანოები. ისინი, მაგალითად, სკოლების ქსელის განვითარებას გეგმავენ მუდმივი მოსახლეობის რიცხვით, სავაჭრო ქსელის განვითარებასა და მისი საქონლით უზრუნველყოფას კი სახლში მყოფი მოსახლეობის რიცხვით. სხვაობა ამ მონაცემებში საკმაოდ მნიშვნელოვანია ხოლმე.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა გავიხსენოთ 1959 წლის აღწერა. მაშინ ვამბობდით, რომ მოსკოვში მუდმივად ცხოვრობს 5.955 ათასი კაცი. აღწერის დღეს კი დედაქალაქში აღმოჩნდა 54 ათასი კაცით მეტი. ეს „მატება" გამოიწვიეს ადამიანებმა, რომლებიც მოსკოვში შვებულებას ატარებდნენ ან აქ მივლინებაში იყვნენ. კრასნოდარის მხარესა და ყირიმის ოლქში შეიკრიბა 44 ათასი საალღწერო ფურცელით მეტი, ვიდრე მოელოდნენ. ეს ფურცლები შეავსეს სამხრეთის კურორტებზე დასასვენებლად მყოფმა პირებმა.

ახლანდელ აღწერას კიდევ ერთი თავისებურება აქვს. მცხოვრებთა მეტ წილს აღმრიცხველები შესთავაზებენ უპასუხონ თერთმეტ კითხვაზე. იმოქმედებს აგრეთვე საალღწერო ფურცლები და სხვა ფორმები, რომლებიც, გარდა ამისა, დამატებით შეიცავენ შვიდ კითხვას სამუშაო ადგილის, მოსაქმეობის, მუშაობის ხანგრძლივობის შესახებ და სხვ. მაგრამ ამ მეორე ფორმით გადაწყვდა გამოიკითხონ ყველა საცხოვრებელი სახლის მოსახლეობის მხოლოდ მეოთხედი ნაწილი. აღწერის შედეგად ვვარაუდობთ რვიოლოთ დაახლოებით ხუთი მილიარდი პასუხი.

კითხვა. 1970 წლის აღწერა სათვალავით მეხუთეა. ასეთი აღწერა საბჭოთა ქვეყანაში გაიმართა 1920, 1926, 1939 და 1959 წლებში. რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოსახლეობის 1897 წლის აღწერას — პირველს და ერთადერთს მეფის რუსეთში. რა შეიძლება ითქვას ახლანდელი აღწერის პრობლემაზე, ვთქვათ, 1959 წლის აღწერასთან შედარებით?

პასუხი. ახლა ვვარაუდობთ მივიღოთ უფრო დაწვრილებითი ცნობები, მაგალითად, თვითეული ოჯახის „შემადგენლობის" შესახებ, ამ მაჩვენებელების შეხამება ასაკობრივ მონაცემებთან და, სხვა, უკვე არსებულ ცნობებთან საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ შობადობის საკითხები, მოსახლეობის ცალკეულ სოციალურ ჯგუფებს შორის შემოსავლის დონის, საბინაო პირობებისა და სხვათა მიხედვით. პირველად საალღწერო ფურცლებში შეტანილია კითხვა, თუ სსრ კავშირის ხალხთა რომელ ენას, მშობლიურს გარდა, ფლობთ თავისუფლად. ასეთი ცნობები საჭიროა, რათა სწორად დავგეგმოთ სახალხო განათლება, გაზეთების, ჟურნალების, წიგნების გამოცემა.

დასახულია ზუსტად გავითვალისწინოთ იმ პირთა რიცხვი, რომლებიც 1969 წელს მუშაობდნენ რამდენიმე თვის განმავლობაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, გამოვავლინოთ მუდმივი, სეზონური და დროებითი მუშაკების რიცხვი. მიღებული იქნება მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი შრომისუნარიანი ასაკის ადამიანი დასაქმებულია საოჯახო სამუშაოთი და პირად დამხმარე სოფლის მეურნეობაში და რა პირობებში შეიძლება

ბოლოგრადის შ. ე. კერჟინსკის სახელობის სატრაქტორო ქარხნის მუშაკს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ დიდ შრომითს გამარჯვებას — მეშვიდეონე ტრაქტორის გამოშვებას.

პარტიისა და ხალხის ნებით თქვენი ქარხანა რეკორდულად მოკლე ვადაში შეიქმნა პირველ ხუთწლედში, იგი საბჭოთა ტრაქტორმშენებლობის პირმშოა და სამართლიანად უჭირავს წამყვანი ადგილი თანამედროვე ტექნიკით სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღჭურვის საერთო-სახალხო საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოოქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ვოლგოგრადელი ტრაქტორმშენებლები წარმატებით შეასრულებენ ტრაქტორების წარმოების ხუთწლედის დავალებებს და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობას, ახალ გამარჯვებებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის კეთილშობილურ შრომაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ვოლგოგრადის სატრაქტორო ქარხანას — ლენინის ორდენი

მილიონული წარმატებებისათვის ტრაქტორებით ქვეყნის სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის ამოცანათა შესრულებაში, მნიშვნელოვანი წვლილისათვის საბჭოთა ტრაქტორმშენებლობის განვითარებაში და მემილიონე ტრაქტორის გამოშვებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 14 იანვრის ბრძანებულებით ვოლგოგრადის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სატრაქტორო ქარხანა დაჯილდოვა ლენინის ორდენით. (საკდესი).

მეხუთედ

□ ახლანდელი სრულიად საკავშირო აღწერა მეხუთეა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში. პირველი მოეწყო 1920 წელს, მეორე — 1926 წელს, მესამე — 1939 წელს, მეოთხე — 1959 წელს.

□ აღწერა ახლა ეწყობა ორი პროგრამით — მოლიანითა და შერჩევითით. პირველი პროგრამა მოიცავს ქვეყნის ყველა მცხოვრებს. მისი საალღწერო ბლანკები შეიცავენ ისეთ კითხვებს, როგორიც არის სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, ეროვნება, ენა, განათლების დონე, საარსებო საშუალებათა წყარო და ა. შ. მეორე — შერჩევითი — შეეხება სსრ კავშირის მოსახლეობის მმოსახელ ნაწილს. გარდა საეროო კითხვებისა, რომლებიც ჩამოთვლილი იყო ზემოთ, მან უნდა მოგვცეს პასუხი გამოკითხულის სამუშაო ადგილის, სამუშაოს ხანგრძლივობის, მოსაქმეობის ხასიათის, ამა თუ იმ არსებულ საზოგადოებრივ ჯგუფთან კუთვნილების შესახებ.

ანგარიშგება-არჩევნების მოეწყო 15.261 პროფკავშირულ ორგანიზაციაში, საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებს დაესწრო პროფკავშირთა წევრების 92,8 პროცენტი, საანგარიშო მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდა 82,9 ათასი კაცი.

საფაბრიკო-საქარხნო და აღგილობრივი კომიტეტების შემადგენლობებში არჩეული არიან წარმოების საუკეთესო მუშაკები — პროფკავშირული მუშაობის აქტივისტები; პროფკავშირული კომიტეტები განახლდა 41 პროცენტით, ძირეული პროფკავშირული კომიტეტების ახალ შემადგენლობებში ქალები შეადგენენ 45,2 პროცენტს, ბევრია ახალგაზრდა, საფაბრიკო-საქარხნო და აღგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეთა 95,9 პროცენტს უმაღლესი ან საშუალო განათლება აქვს.

მაგრამ ანგარიშგება-არჩევნების დროს იყო ცალკეული ნაკლოვანებანი კრებებისა და კონფერენციების ორგანიზაციასა და მოწყობაში. მაგალითად, არჩევნების ინსტრუქციის დარღვევებისათვის გაუქმდა აბაშის ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის კრებისა და თბილისის სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის კონფერენციის შედეგები.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფკავშირთა საოლქო საბჭოებსა და რესპუბლიკურ კომიტეტებს გააძლიერონ საფაბრიკო-საქარხნო და აღგილობრივი კომიტეტების ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით იქ, სადაც ხელმძღვანელობის სათავეში მოვიდნენ ახალი პროფკავშირული აქტივისტები; ფართოდ გაავრცელონ პროფკავშირული კომიტეტების ორგანიზატორული მუშაობის დადებითი გამოცდილება; განაზოგადონ და განიხილონ პრეზიდიუმზე კრიტიკული შენიშვნები და წინადადებანი, რომლებიც გამოითქვა საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე, და დასახონ მათი რეალიზაციის კონკრეტული ღონისძიებანი; დარაზმონ მუშები და მოსამსახურეები ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

(საქდესი).

ლენინის ფუძე ჩვენს პლანეტაზე

გამოფენა ვარშავაში

დღითიდღე იზრდება დამთვალიერებელთა ნაკადი ვარშავის ჯ. ი. ლენინის მუზეუმში. მოსწავლეები, ქარხნების დელეგაციები, სხვა ქალაქების მცხოვრებნი დიდი ინტერესით ათვალიერებენ მუზეუმის ძვირფასეულობებს: „ჯ. ი. ლენინი კოლონეთში“, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გზა“, „ჯ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“.

• • •

სურათზე: მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში.

ფოტო ცაფ—ახალი ამბების საagენტოსი.

ლენინის შეკვეთდი 1920 წლის 21 თებერვალს, ჩემი დაბადების დღეს, როცა 51 წელი შემისრულდა. მას შემდეგ იგი ალარ მინახავს, და მხოლოდ 1926 წელს ჩემს მეუღლესთან ერთად ვიყავი მაგზოლეუმში, სადაც იგი ასვენია. მაშინ არ იყო ეს შავი და წითელი გრანიტით ნაგები შენობა, რომელიც კრემლის კედელთან არის აღმართული. ეს იყო დროებითი ნაგებობა, მაგრამ უკვე მაშინ უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ ადამიანთა კოლონები ლენინის სანახავად. ვუყურებდი ლენინს, და სახეზე ვერავითარ ცვლილებას ვერ ვამჩნევდი. იგი მძინარეს ჰგავდა. ასე მეგონა, თვალი რომ გაეხილა, ისევე შემომხედავდა, როგორც ექვსი წლის წინათ თებერვლის იმ შესანიშნავ დღეს. იგი სამუალო ტანისა იყო, და. როდესაც ერთმანეთს პირველად შევხვდით, მის სახეზე გადაღლილობისა და სისუსტის ნიშანწყალიც კი არ შემინიშნავს, რაც ასე ეტყობოდათ კრასინისა და ზოგიერთ იმათგანს, ვისაც იმხანად შევხვედრივარ. ამის მიზეზი ალბათ მისი ძლიერი აღნაგობა იყო. ლენინი ხომ თანაბრად იზიარებდა იმ დღეთა ყველა გაჭირვებას, როცა საკმაო სათბობი, ბინები და სურსათიც არ იყო. ზუსტად ასევე იქცეოდნენ მაშინ სხვა ბოლშევიკი ხელმძღვანელებიც. არ არსებობდა არავითარი განსაკუთრებული პრივილეგიები ან უპირატესი პირობები ხელმძღვანელებისა და ხელისუფლების წარმომადგენლთათვის: რევოლუციის ბელადობა მაშინ ნიშნავდა იმას, რომ წილად გხვდომოდა ყველაზე მძიმე შრომა და დიდი გაჭირვების ატანა.

ჩემი საუბარი ლენინთან საკმაოდ ხანგრძლივი იყო: იგი ლაპარაკობდა რევოლუციასა და საერთაშორისო მდგომარეობაზე. მართალია, ლენინმა შესანიშნავად იცოდა, რომ მე ბოლშევიკი არ ვიყავი და ქრისტიანობას ვაღიარებდი, მიუხედავად ამისა, მომმართავდა თავაზიანად და კეთილგანწყობით, რაც თავისუფალი და დაუძაბავი საუბრის ატმოსფეროს ქმნიდა. გამიტაცა მისმა საუბარმა, საღმა აზროვნებამ და იდეურმა სიმტკიცემ. მასში ოდნავაც არ შემინიშნავს მედიდურობა ან აზროვნების შეზღუდულობა.

მე შემიძლია ლენინი მხოლოდ ისე აღვწერო, როგორც იგი წარმომიდგა. მისი მთავარი აზრი ის იყო, რომ ის თეორიები და პრინციპები, რომლებსაც ის და ლენინის სიტყვები რომ მაგონდება სხვა ქვეყნების პოზიციებისა და შეიარაღების შესახებ, ვრწმუნდები, რომ მსოფლიო დღეითიდღე უახლოვდება ახალ მსოფლიო ომს და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ლენინი მათთვის გაუგებარი იყო. იგი დაეჭვებით აღნიშნავდა, რომ მას და მის მეგობრებს არა სურთ დიდი სამხედრო მანქანის შექმნა, რომ რუსეთმა საბოლოოდ მოუღო ყოველგვარ იმპერიალისტურ მიზნებს და მიუხედავად იმისა, რომ მათ სწამთ მსოფლიო რევოლუცია, რომელიც განსხორციელებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადახვლას, თვითეულ ქვეყანაში მასებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ თავიანთი განთავისუფლების საკითხი.

იგი სრულებითაც არ მალავდა და არ უარყოფდა III ინტერნაციონალის განზრახვას შეეკმნა საერთაშორისო მუშათა ინტერნაციონალი მოქმედებისა და პროპაგანდის ერთიანობისათვის. მაგრამ მიუხედავად ამისა, მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ იმ ხანად, როცა ლენინს ინტერვიუს ვართმევდი, ინგლისს, საფრანგეთსა და ამერიკას საბჭოთა მთავრობა რომ ეცნოთ, შემდგომი წლების ისტორია ბევრად განსხვავებული და გაცილებით მშვიდობიანი იქნებოდა. უფრო ძლიერი იქნებოდა ერთა ლიგა, ვინაიდან რუსები მას არ ჩათვლიდნენ იმპერიალისტურ ხრიკად, გაცილებით იოლი პრობლემა იქნებოდა განიარაღებაც, სოლო ვალების საკითხი კარგახნის გადაწყვეტილი იქნებოდა.

ლენინი ილუზიებს არ ეძლეოდა. იგი არ ელოდა აღიარებას. იგი სავსებით მზად იყო იმისათვის, რომ მეფის გენერლები სულ უფრო მეტ ინგლისურ ფულს მიიღებდნენ თავიანთი კონტრრევოლუციური ღონისძიებებისათვის. მიუხედავად ამისა, იგი უდიდესი სიმშვიდით დარწმუნებული იყო, რომ რუსეთი დაძლევდა ყველა იმ მარეონეტს, რომლებსაც ჩვენ მათ წინააღმდეგ ვაქეზებდით.

ჩვენ განვიხილავდით ფინანსურ საკითხს, და მან მითხრა, რომ თუ ჩვენ, სოციალისტები, შეგძლებთ არჩევნების შედეგად ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, ბანკირები და სხვა ფინანსური საქმოსნები დაგვეუპაგენ სხვადასხვა ფინანსური მაქინაციებით. ლენინმა თქვა, რომ რუს ბანკირებს რომ მიეღოთ სოციალისტური რევოლუცია ისევე, როგორც მათ ცარიზმის ნაცვლად მიიღეს კერენსკის ბურჟუაზიული რესპუბლიკა, ისინი შეძლებდნენ დარჩენილიყვნენ თავიანთ ადგილებზე და ემსახურნათ ხალხისათვის. მაგრამ მათ ერთსულოვნად წამოიწყეს საბოტაჟი.

ლენინი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ მიუხედავად ამ საბოტაჟით გამოწვეული სიძნელეებისა, ბოლშევიკები გაიმარჯვებდნენ. იგი ამუშავებდა ხუთწლიან გეგმას და პერსპექტიულ გეგმებს მრავალი წლისათვის. ასე მეგონა, რომ მის კონტორაში დამუშავებულია ყველა გეგმა და არ სჭირდებოდა სპეციალისტები, რომლებიც უკარნახებდნენ, თუ რა მოიმოქმედა. იგი მათ მხოლოდ დეტალების დასადგენად მიმართავდა.

მე მისმოდა, რომ ზოგიერთნი ამბობდნენ, ლენინი ეგოისტი და ფანატიკოსი იყო. ვფიქრობ, რომ ბევრნი, ვინც მას შეხვედრია, თვითონ იყვნენ რამდენადმე შეპყრობილნი ავადმყოფური პატეიმოყვარეობით. მე ამის ვერავითარი ნიმანწყალიც კი ვერ შევამჩნიე მასთან საუბრის დროს.

— ეკლესიების თაკკაცებიც იგივენი არიან, რაც ბანკირები, — თქვა მან, — ახლაც კი, როცა ჩვენ ვსაუბრობთ, ისინი ინგლისელ და მეფის გენერლებთან ერთად საიდუმლოდ აპირებენ ჩვენი მთავრობის დამსობას. აღამიანებს სურთ იოლიცონ და შეუძლიათ იოლიცონ, თუ კი ამის სურვილი აქვთ, მაგრამ არ შეიძლება ლოცვისა და რელიგიის გამოყენება კონტრრევოლუციური საქმიანობის შესანიღბავად.

ეს კაცი ერთდროულად იყო რეალისტიც, იდეალისტიც და, რაც მთავარია, ნამდვილი რევოლუციონერი... ლენინს მტკიცედ სჯეროდა ენთუსიაზმისა, დისციპლინისა და განათლებისა. იგი არ კპირდებოდა იოლ გზებს აღთქმული მიზნის მისაღწევად, ეს, მისი აზრით, შეიძლებოდა მხოლოდ შრომისა და მსხვერპლის გაღების გზით.

ამასთან დაკავშირებით მან გამომშვიდობებისას მითხრა რამდენიმე სიტყვა, რომელთა დამახსოვრება კარგი იქნებოდა მასების ყველა ხელმძღვანელისათვის.

როცა მუშათა მდგომარეობაზე ვლაპარაკობდი, ლენინმა კითხვით მომმართა:

— ლენსბერი, თქვენ გსურთ იოლი ცხოვრება?

მე ვუპასუხე:

— არა.

— ძალიან კარგი, — თქვა მან, — ჩვენ არასოდეს არ უნდა დავუშვათ, რომ მუშამ იფიქროს, სოციალური რევოლუცია იოლ ცხოვრებას ნიშნავსო. პირიქით, იგი შეიძლება ნიშნავდეს კიდევ უფრო მეტ შრომას, იმიტომ რომ ბევრის გაკეთება იქნება საჭირო კაპიტალიზმის მანკიერებათა გამოსასწორებლად. მაგრამ ჩვენ უნდა ვახსოვდეთ მუშებს, რომ ისინი იმუშავებენ თავიანთთვის და შრომის ყოველი საათი მათ კეთილდღეობამდე მიიყვანს.

საბოლოოდ მინდა ვთქვა, რომ მასზე ვფიქრობ როგორც ყველაზე უბრძნეს და თავისი საქმისადმი ყველაზე უანგარიშოდ ადამიანზე იმათ შორის, ვისაც კი ოდესმე შეხვედრივარ.

ბელადი

ჯორჯ ლენსბერი

ჯორჯ ლენსბერი (1859-1940) იყო ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და 1931-1935 წლებში ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე.

ეს ნაწყვეტი ამოღებულია მის მოგონებათა წიგნიდან, რომელიც 1935 წელს ინგლისში გამოვიდა.

დასავლეთ გერმანია

თანასწორუფლებიანი ურთიერთობისათვის

გერმანელთა კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმის განცხადება

ბონი, 14 იანვარი. (საკდესი). **გერმანელთა კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა განცხადება გერმანიის „დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ წამოყენებულ ამ ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით, რომ ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის დამყარდეს თანასწორუფლებიანი ურთიერთობა სიერთაშორისო-სამართლებრივ საფუძველზე.** განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ფედერალური მთავრობის დამოკიდებულებას ამ პროექტისადმი განიხილავენ თვითონ ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ, რათა დაადგინონ, თუ რამდენად მზად არის გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია — თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიცია ისეთი პოლიტიკის განსახორციელებლად, რომელიც შეესაბამება რეალურ ვითარებას.

როგორც გერმანელთა კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმი აღნიშნავს, „მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, აპირებს თუ არა ისარგებლოს იმ დიდი შესაძლებლობით, რომელსაც ხელშეკრულების პროექტი გვაძლევს. ეს პროექტი შეესაბამება არა მარტო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესებს, არამედ რა თქმა უნდა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშვიდობიანი განვითარების მოთხოვნილებებსაც. იგი გზას უკვალავს შეიარაღების ტვირთის შემცირებასა და ურთიერთობის ნორმალიზაციის ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის, რაც უწინარეს ყოვლისა სასარგებლო იქნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობისათვის. ამიტომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადებამ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჰპოვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრიობაში“.

გერმანელთა კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმი მოუწოდებს პოზიტიურად და კონსტრუქციულად მოეკიდონ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ წამოაყენა. როგორც ხაზგასმულია განცხადებაში, „გერმანიის საკითხში ყოველგვარი პროგრესის წინამძღვრები სწორედ ის ფაქტია, რომ ახლა არსებობს გერმანელი ერის ორი თანასწორუფლებიანი სახელმწიფო: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ფედერალური მთავრობის ყოველგვარი ცდა, მთელი ერის ინტერესების გამომხატველად წარმოადგინოს თავი, მეორე გერმანული სახელმწიფოს საქმეებში ჩარევაა“.

გერმანელთა კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმი მოუწოდებს მთავრობას დაუყოვნებლივ დაეთანხმოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადებას მოლაპარაკების მოწყობის შესახებ წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე. გერმანელთა კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმი მოუწოდებს აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას განაცხადოს, რომ მზად არის დაიწყოს წანამძღვარი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე ცნოს დასავლეთ ბერლინის როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის სტატუსი.

ავსტრია

მხარს უჭერენ

ვენა. 14 იანვარი. (საკდესი). **ავსტრიის მთავრობა მხარს უჭერს ყველა ღონისძიებას, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელება, და ამიტომ დადებითად ეკიდება უშიშროების საკითხებისადმი მიძღვნილი სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის წინადადებას“, — განაცხადა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. ვალდბაუმმა გაზეთ „დი პრესისათვის“ მიცემულ ინტერვიუში.** ავსტრია, ხაზი გაუსვა მინისტრმა, ყველა შემთხვევაში ხელს შეუწყობს ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე შეთანხმების მიღწევას.

შეეხო რა ევროპის ქვეყნებთან ავსტრიის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებს, საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა: „ავსტრიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დაამყაროს ევროპის ყველა ქვეყანასთან, მიუხედავად მათი პოლიტიკური და ეკონომიური სისტემისა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ავსტრიის ურთიერთობა ამ ბოლო წლებში პოზიტიურად ვითარდებოდა: შეიქმნა წანამძღვრები უფრო მჭიდრო თანამშრომლობისათვის, უწინარეს ყოვლისა ეკონომიკისა და კულტურის დარგში“.

ინგლისი

ჰ. ვილსონის გამოსვლა

ლონდონი, 14 იანვარი. (საკდესი). **მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში ძლიერდება ოპოზიცია ამ ქვეყნის საერთო ბაზარში შესვლის გეგმების წინააღმდეგ, პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი მთავრობის განზრახვა შეუერთდეს ამ დაჯგუფებას.**

ვილსონი, რომელიც გუშინ გამოვიდა საერთო ბაზრის ქვეყნების ჟურნალისტთა და ინგლისის პრესის წარმომადგენელთა დიდი ჯგუფის წინაშე, ჩიოდა, ევროპის ეკონომიური გაერთიანების „ყოყმანობენ და აკიანურებენ“ ინგლისის მიღების საკითხსო. მან აგრეთვე მხარი დაუჭირა იდეას, რომ ფართოდ გაერთიანდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების კომპანიები, რათა შეიქმნას მსხვილი „ზეეროვნული მონოპოლიები“.

ვილსონმა აღიარა, რომ ყველა ძირითად პოლიტიკურ პარტიას, პრესას, პროფკავშირულ მოძრაობასა და მრეწველობას ამინებთ ეს ღონისძიება. მას არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი უკანასკნელი გამოკითხვის დროს ინგლისელთა მხოლოდ 22 პროცენტმა დაუჭირა მხარი საერთო ბაზარში შესვლას.

ხუდანი

ფეთქმულება ამხილეს

ხართუმი, 14 იანვარი. (საკდესი). **გაზეთ „ალ-ადამის“ კორესპონდენტისადმი განცხადებაში სუდანის თავდაცვის მინისტრი ჰალილ ჰასან აბასი აღნიშნავს, რომ მბილებულია სუდანის არმიის რეაქციული დაჯგუფება, რომელიც მიზნად ისახავდა მთავრობის დამხობას. დაპატიმრებული არიან გადამდგარი ბრიგადის გენერალი აბდალა მუჰამედ ადამი, რომელიც შეთქმულებას მეთაურობდა, და რამდენიმე უნტერ-ოფიცერი.**

— თუ ჭკვიანად იქნები, სხვა „სათამაშოებსაც“ გაჩუქებ.

კარიკატურა მაროკოს გაზეთ „ოპინიონიდან“.

იაპონია

მთავრობა გადადგა

ტოკიო, 14 იანვარი. (საკდესი). დღეს გადადგა იაპონიის მთავრობა. ეს ჩვეულებრივი ღონისძიებაა იაპონიაში არჩევნების მოწყობის შემთხვევაში. პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნები გაიმართა 27 დეკემბერს. ქვეყნის ახალ პრემიერ-მინისტრად, რომელმაც მთავრობა უნდა შექმნას, აირჩევენ პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე, რომელიც დღეს გაიხსნა.

ტოკიო, 14 იანვარი. (საკდესი). დღეს ტოკიოში გაიხსნა იაპონიის პარლამენტის 63-ე სესია — პირველი სესია პარლამენტის წარმომადგენლთა პალატის არჩევნების შემდეგ, რომელიც გაიმართა 1969 წლის 27 დეკემბერს, წარმომადგენლთა პალატის დღევანდელ სხდომაზე ამ პალატის თავმჯდომარედ აირჩიეს ნაკა ფუნადა, თავმჯდომარის მოადგილედ — სეიძიურო არაფუნე. იაპონიის პრემიერ-მინისტრის პოსტზე აირჩიეს ეისაკუ სატო.

□

იაპონია

გოვონის განცხადება

ლაგოსი, 14 იანვარი. (საკდესი). ნიგერიის ფედერალურმა მთავრობამ გაითვალისწინა ადამოსავლეთნიგერიელ სეპარატისტთა ჯარების სარდლის პოლკოვნიკ ეფერუნის განცხადება იმის შესახებ, რომ წყვეტენ წინააღმდეგობას და თანახმა არიან ცნონ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის რეზოლუციის ნიგერიის ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის შესახებ, განაცხადა გუშინ ნიგერიის ფედერალური მთავრობის მეთაურმა იაკუბუ გოვონმა.

„ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ დამთავრდა ტრაგიკული კონფლიქტი, — თქვა მან, — და აღვნიშნავთ ეროვნული ერთობის დიად გამარჯვებას“. თოთქმის სამი წლის წინათ, ხაზი გაუსვა გოვონმა, იძულებული გავხდით იარაღი გვეხმარა ჩვენი ძმების წინააღმდეგ, რომლებიც სეპარატისტთა ყოფილმა ლიდერმა ოდუმეგეგე ოჯუკვუმ მოტყუებით ჩაითრია სამშობლოს წინააღმდეგ ამბოხებაში. ამ ომში, აღნიშნა გოვონმა ჩვენი მიზანი იყო ჩაგვეწმო ამბოხება და აღგვედგინა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

ფედერალური მთავრობა წინადადებას აძლევს სეპარატისტებს სწრაფად და ორგანიზებულად დაყარონ იარაღი და დაუყოვნებლივ გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები კაპიტულაციის კონკრეტული პირობების შესამუშავებლად. ნიგერიის არმიის ყველა მეთაურს, განაცხადა გოვონმა, მიეცათ მითითება დაუყოვნებლივ მიიღონ მეამბოხეთა ჯარების კაპიტულაცია, უწერენველყონ სამხედრო ტყვეთა სათანადო დაცვა და საჭირო დახმარება გაუწიონ განთავისუფლებული რაიონების მშვიდობიან მოსახლეობას.

„ვადასტურებთ ჩვენს დაპირებას, რომ საყოველთაო ამნისტიას გამოვუცხადებთ ყველას, ვინც მოტყუებით ჩაითრიეს უნაყოფო ცდაში გაეთიშათ ქვეყანა“, — ხაზი გაუსვა ნიგერიის მთავრობის მეთაურმა.

თვითნებობა გრძელდება

ამანი, 14 იანვარი (საკდესი). **ისრაელი ექსტრემისტები კვლავ ახორციელებენ ტერორისა და ძალმომრეობის პოლიტიკას ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე.**

ისრაელ ხელისუფალთა თვითნებობა აიძულებს არაბებს დატოვონ თავიანთი სახლები ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მიაშურონ მდინარე იორდანის აღმოსავლეთ ნაპირს, როგორც „გაზეთი „ად-დუსტური“ იუწყება, სოფელ ბეიდ ფადარში მცხოვრებმა არაბთა 200 ოჯახმა მიიღო ისრაელის სამხედრო გუბერნატორის განკარგულება დაეტოვებინათ მათ მიერ დაკავებული ტერიტორია. მოწმეები აღნიშნავენ, რომ ისრაელთა ბულდოზერები უკვე ანგრევენ სახლებს აღნიშნულ ტერიტორიაზე, რათა ააშენონ იქ სამხედრო ბანაკი.

ისრაელ ხელისუფალთა თვითნებობა გრძელდება იერუსალიმშიც. გაზეთი „ად-დიფაა“ ხაზს უსვამს, რომ თუ ისრაელის 1967 წლის აგრესიამდე იერუსალიმში ცხოვრობდა 100 ათასი არაბი, ამჟამად 60 ათასით შემცირდა არაბი მოსახლეობის რიცხვი. ამავე დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა იერუსალიმის ისრაელ მცხოვრებთა რიცხვი, ხოლო ტელავიველ მმართველთა გეგმებით, იერუსალიმის ისრაელმა მოსახლეობამ 1970 წელს 300 ათასს უნდა მიაღწიოს. ამრიგად, ხაზს უსვამს გაზეთი „ად-დიფაა“, ისრაელის მთავრობა აპირებს მსოფლიო დააყენოს მოგზდარი ფაქტის — „გაერთიანებული იერუსალიმის“ წინაშე, სადაც მეტ წილად ისრაელი მოსახლეობა იქნება.

ამერიკის შეერთებული შტატები

„კინგის დღე“ — ბრძოლის დღე

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ნ. პახომოვი გვატყობინებს:

პროგრესული ამერიკა ემზადება 15 იანვარს აღნიშნოს ზანგთა მოქალაქეობრივი თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის გაბოროტებული ლიდერის მარტინ ლუთერ კინგის დაბადების დღე, რომელიც მხეცურად მოკლეს 1968 წლის აპრილში. მოდელმა უოლტერ ფონტროიმ, ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ზანგთა ორგანიზაციის „სამხრეთის ქრისტიანული ხელმძღვანელობის კონფერენციისა“, რომელსაც კინგი მეთაურობდა, განაცხადა, რომ კინგის ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს მილიონობით ამერიკელი.

შეერთებული შტატების ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია სახავს, რომ 15 იანვარს მოაწყოს მასობრივი საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები რასობრივი დისკრიმინაციისა და ვიეტნამის ომის წინააღმდეგ. მარტინ ლუთერ კინგი თვალსაჩინო როლს ასრულებდა ამერიკის შეერთებული შტატების ომის საწინააღმდეგო მოძრაობაში. იგი იყო ერთ-ერთ პირველი ეროვნული ლიდერი, რომელიც ვიეტნამის ომის წინააღმდეგ გამოვიდა და მშვიდობის ნობელის პრემია მიენიჭა, — განაცხადა პრეს-კონფერენციაზე „ახალი მობილიზაციის მომწყობი კომიტეტის“ ვაშინგტონის განყოფილების ხელმძღვანელმა დევიდ ოტომ. ამიტომ, განაგრძო მან, ჩვენ კინგის დაბადების დღე ავირჩიეთ ვიეტნამში ვაშინგტონის აგრესიის წინააღმდეგ ახალი მასობრივი გამოსვლების მოწყობისათვის.

დედაქალაქის ათასობით მცხოვრები მიიღებს მონაწილეობას ამ ღონისძიებაში. ამ ბოლო დროს ეროვნული ლიდერი, რომელიც ვიეტნამის ომის წინააღმდეგ გამოვიდა და მშვიდობის ნობელის პრემია მიენიჭა, — განაცხადა პრეს-კონფერენციაზე „ახალი მობილიზაციის მომწყობი კომიტეტის“ ნიუ-იორკის განყოფილების ხელმძღვანელმა დევიდ ოტომ. ამიტომ, განაგრძო მან, ჩვენ კინგის დაბადების დღე ავირჩიეთ ვიეტნამში ვაშინგტონის აგრესიის წინააღმდეგ ახალი მასობრივი გამოსვლების მოწყობისათვის.

დედაქალაქის ათასობით მცხოვრები მიიღებს მონაწილეობას მიტინგში, რომელიც გაიმართება ჰოვარდის უნივერსიტეტში, სადაც გამოვლენ წარმომადგენელთა პალატის წევრი მიჩიგანის შტატისაგან ჯონ კონიერსი და „თავისუფლების დემოკრატიული პარტიის „წარმომადგენელი მისისიპის შტატში ფენი ჰეიმერი.

„ახალი მობილიზაციის მომწყობი კომიტეტის“ ნიუ-იორკის განყოფილება და მოვდლების საქალაქო კოალიცია, რომელშიც 15 ორგანიზაცია შედის, ამ დღეს აგრეთვე აღნიშნავენ მასობრივი მიტინგით, რომელიც ცენტრალ-პარკისაკენ მარშით დამთავრდება.

მზადდება პროვოკაციული აქცია

დასავლეთი ბერლინი

დასავლეთი ბერლინი, 13 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ვ. სავინი გვატყობინებს:

ოფიციალური ბონი ამზადებს დიდ პოლიტიკურ დემონსტრაციას შპრეს ნაპირებზე. როგორც დღეს გაზეთი „დერ ტაგესშპიგელი“ წერს, დასავლეთ ბერლინში 19-27 იანვარს გაიმართება პარლამენტის სამი ფრაქციისა და დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის ყველა კომისიის სხდომები. ამას გარდა, ბუნდესტაგის თავმჯდომარემ ფონ ჰასელმა 26 იანვარს დასავლეთ ბერლინში მოიწვია ბონის პარლამენტის უხუცესთა საბჭოს სხდომა.

პრესა არ მალავს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალნი ამ ქალაქში თავიანთი აქციით ცდილობენ ცხადყონ ბუნდესტაგის „უფლება“ აწყობდეს აქ „სანუშაო სხდომებს“. მაგრამ ასეთი მოქმედება არათუ მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს, არამედ უხეშად არღვევს აგრეთვე დასავლეთ ბერლინის, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის, სტატუსს, რომელიც არ მიეკუთვნება ფედერაციულ რესპუბლიკას არც პოლიტიკურად, არც ადმინისტრაციულად. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საპარლამენტო ორგანოების სხდომები დასავლეთ ბერლინში ადასტურებენ, რომ ბონის ხელისუფალნი აპირებენ განაგრძონ წინანდელი პროვოკაციული კურსი ამ ქალაქის მიმართ.

გაზეთი „დი ვარჰაიტი“ აღნიშნავს, რომ ბონის პარლამენტის ფრაქციებისა და კომისიების მომავალი სხდომები დასავლეთ ბერლინში კანონსაწინააღმდეგოა.

გაერო

გაქაქევეს

ბრაზა, 14 იანვარი. (საკდესი). **როგორც ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის საagენტო იუწყება, სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან გააძევეს პოლანდიელი მოქალაქე მელსე ოოპანი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს მიუნხენში. იგი ავრცელებდა საზღვარგარეთ გამოცემულ ანტისოციალისტურ ლიტერატურას.**

ლაგოსი, 12 იანვარი (საკდესი). **ნიგერიის ფედერალურმა მთავრობამ პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა ინგლისის უმაღლესი კომისრის სამხედრო მრჩეველი ნიგერიაში პოლკოვნიკი რ. სკოტი, იუწყება ლაგოსის რადიო. სკოტს მიეცა წინადადება 24 საათში დატოვოს ნიგერია. ამ გადაწყვეტილების მიზეზები არ გამოუცხადებია.**

ბელგია

ფაქტები

თამბირი თეთრ სასლში

● **გაშინგტონი,** 14 იანვარი (საკდესი). **ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი გუშინ სამ საათს ეთათბირებოდა თავისი კაბინეტის წევრებს. დღის წესრიგში იყო ამერიკის შეერთებული შტატების 1970-1971 საფინანსო წლის ბიუჯეტის განხილვა.**

როგორც თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა ხიგლერმა განაცხადა, თათბირი მოიწვიეს პრეზიდენტის ინიციატივით, რომელმაც „უკანასკნელ წუთში“ მოისურვა განეხილა ბიუჯეტის შესაძლო უმნიშვნელო ცვლილებანი, რომელთა გამოცხადებას იანვრის დამლევს აპირებს.

ფასები იზრდება...

● **რიო-დე-ჟანეირო,** 14 იანვარი. (საკდესი). **აქ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, 1969 წლის მანძილზე ბრაზილიაში 24,2 პროცენტით გაძვირდა ცხოვრების ღირებულება. სურსათი გაძვირდა 30,9 პროცენტით, ბინის ქირა გადიდდა 22,2 პროცენტით. გაძვირდა აგრეთვე ტანსაცმელი და სამოჯახო საგნები; 30,5 პროცენტით გაძვირდა კომუნალური მომსახურება.**

წყალდიდობა ესპანეთში

● **ბარიზი,** 14 იანვარი. (საკდესი). **ესპანეთის ბევრი დიდი მდინარე, მათ შორის ებროს, ტაგუსი, ებრო, დუერო და სხვები, აიდიდა და დატბორა ქვეყნის მნიშვნელოვანი ტერიტორია. ეს წყალდიდობა გამოიწვია კოკისპირულმა წვიმამ. როგორც ფრანს პრესის საagენტო იუწყება, ასეთი ძლიერი წვიმები არ ყოფილა ამ ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე.**

ჰოლანდია

ჩუმი ოკუპაცია

ჰაგა, 14 იანვარი. (საკდესი). **ჰოლანდიის სანანადაგურო ქალაქ ფლისინგენის მახლობლად ბონელ სპეციალისტთა ხელმძღვანელობით გაშალა დიდი ქიმიური კომბინატის მშენებლობა, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ერთ-ერთი უდიდესი იქნება დასავლეთ ევროპაში.** ახალი საწარმოსაგან მიღებულ მოგებას სრულიადაც არ მიიღებს ჰოლანდიის ხაზინა, იგი შევა კომბინატის მეპატრონის — დასავლეთ გერმანიის კონცერნის „ბარბვერკ ჰეჩსტ აგის“ სეიფებში.

კონცერნის ხელმძღვანელები, რომლებიც თვალსაჩინო როლს ასრულებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში, ცდილობენ ხელი იგდონ მთავარი პოზიციები „საერთო ბაზარში“ დასავლეთ გერმანიის პარტნიორთა ქიმიურ მრეწველობაში. ნიდერლანდში, სადაც „ჰეჩსტს“ ეკუთვნის რამდენიმე ქსნეული ქიმიური საწარმო, კონცერნის საერთო კაპიტალდაბანდებამ ქვეყნის ქიმიურ მრეწველობაში 200 მილიონ გულდენს მიაღწია.

უკანასკნელი მონაცემებით, რომლებიც ჰოლანდიის პრესაში გამოქვეყნდა. 1967 წლის დამდეგიდან 1969 წლის შეორე ნახევრამდე ჰოლანდიის საწარმოთა აქციების საერთო ღირებულება, რომლებსაც ფლობენ დასავლეთ გერმანიის კონცერნები და ტრესტები, 212 მილიონი გულდენით გაიზარდა.

დასავლეთ გერმანიის კაპიტალს სულ უფრო მეტად ეპატრონებიან ჰოლანდიის ინდუსტრიის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დარგები.

შემთხვევითი როდია, რომ გერმანიის ფაშიზმის განადგურების 25 წლის შემდეგ, ბევრი ჰოლანდიელი ნაღვლიანად ლაპარაკობს თავისი ქვეყნის ახალი, „ჩუმი“ ოკუპაციის შესახებ.



შეუდრეკელი რევოლუციონერი

ა. ჯაფარიძის დაბადების 90 წლისთავი

ვრცელსინონალი რევოლუციონერის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის პროკოფი (ალიოშა) აფარასიონის-ძე ჯაფარიძის მთელი ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა ლენინური ტიპის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის შესანიშნავი ნიმუშია.

მისთვის დამახასიათებელი იყო მონობასა და ტანჯვისაგან მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმისადმი ერთგული სამსახური, პარტიის, ხალხის, რევოლუციის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დრმნისადმი უსაზღვრო ერთგულება. ეს მას ხდიდა ამერიკაკავკასიის მუშათა კლასისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების ერთერთ საყვარელ ხელმძღვანელად. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის 20 წელი მან მოახმარა თბილისში, დონის როსტოვში, ვოლოგდაში, კრასნოიარსკში, ტრაპეზონში, ბაქოში მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის უანგარო ბრძოლას.

ა. ჯაფარიძე დაიბადა 1880 წლის 3/15 იანვარს რაჭის მაზრის სოფელ შარდომეთში. პირველდაწყებითი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ა. ჯაფარიძე 1896-1900 წლებში სწავლობდა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში. ამ დროისათვის საქართველოში უკვე შექმნილი იყო პირველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი", რომელიც მუშაობდა მუშათა შორის მარქსიზმის გავრცელებისათვის. 1898 წელს ა. ჯაფარიძე უკავშირდება რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას და შედის მარქსისტულ წრეში, ხოლო იმავე წლის ბოლოს ხდება მოსწავლეთა ერთ-ერთი არალეგალური მარქსისტული წრის ხელმძღვანელი. ამ დროიდან ა. ჯაფარიძე უკავშირდება „მესამე დასის" რევოლუციური ფრთის აქტიური წევრი და ქმედით მონაწილეობას იღებს მთელ მის მუშაობაში.

ა. ჯაფარიძე თბილისის მუშათა 1900 წლის საპირველმაისო მიტინგის აქტიური მონაწილეა. იმავე წლის აგვისტოში ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებს თბილისის რკინიგზის მუშათა გაფიცვაში, როგორც თბილისის პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელი და მუშათა საგაფიცვო კომიტეტის წევრი. გაფიცვა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და უდიდესი როლი შეასრულა საქართველოსა და ამერიკაკავკასიაში მუშათა რევოლუციური მოძრაობის შემდგომ განვითარებაში. მართალია, ეს გაფიცვა დამარცხდა, მაგრამ როგორც გაზეთი „ბრძოლა" წერდა, „ეს დამარცხება ბევრ გამარჯვებას აღემატებოდა თავისი მნიშვნელობით და შედეგებით. ეს დამარცხება ერთნაირი გამარჯვება იყო დამარცხებულთათვის... ცხადია, რომ დამარცხდნენ რა მუშები გუშინ, ამით მათ გამარჯვება მოიმზადეს დღისათვის".

გაფიცვის მსვლელობაში პოლიციამ ა. ჯაფარიძე დაუპატიმრა. მალე გაათავისუფლეს მამხილებელი საბუთების უქონლობის გამო, მაგრამ აუკრძალეს თბილისში, ბაქოში, ელიზავეტპოლში, ბათუმში, ფოთსა და მიხაილოვში ცხოვრება.

1901 წელს იგი გადადის სამუშაოდ ქუთაისში, სადაც სამი წელიწადი იცხოვრა და უაღრესად ინტენსიური რევოლუციური მუშაობა გააჩაღა. 1902-1904 წლებში ა. ჯაფარიძე ქუთაისში უკავშირდება სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეებს მ. ცხაკაიას და ა. წულუკიძეს, მათთან ერთად ქმნის რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტს, ხდება მისი წევრი.

1904 წლის შემოდგომაზე, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ა. ჯაფარიძე სამუშაოდ გაგზავნა ბაქოში. მაშინ ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მენშევიკების დეზორგანიზატორული მუშაობის შედეგად მძიმე მდგომარეობაში იყო.

1904 წლის ივნისში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა დაშალა ბაქოს კომიტეტის ძველი შემადგენლობა და აირჩია ახალი, ბოლშევიკური კომიტეტი ბოლშევიკ-ლენინელების ა. სტოპანის მეთაურობით. ა. ჯაფარიძე შეყვანილ იქნა ბაქოს კომიტეტის შემადგენლობაში.

მან მჩქეფარე მუშაობა გააჩაღა ბაქოს მუშებში და მალე მათი ფიდელი სიყვარული დაიმსახურა. განსაკუთრებით დიდი იყო ჯაფარიძის დამსახურება მუსლიმანი მუშების დარაზმვის საქმეში. მან ა. სტოპანისთან და მ. აზიზბეკოვთან ერთად 1905 წლის დასაწყისში საფუძველი ჩაუყარა ბაქოს მუსლიმან მუშათა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს „ჰუმეთს" (ენერგია), რომელიც ბაქოს ბოლშევიკურ კომიტეტთან არსებობდა.

ა. ჯაფარიძე იყო ბაქოს ნავთობის მრეწველობის მუშათა 1904 წლის დეკემბრის საყოველთაო გაფიცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. ეს გაფიცვა, რომელიც მუშებსა და ნავთის მრეწველებს შორის კოლექტიური ხელშეკრულების დადებით დამთავრდა, წარმოადგენს ამიერკავკასიისა და მთელი რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელს.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ა. ჯაფარიძე ბაქოს ბოლშევიკების ხელმძღვანელებთან ა. სტოპანისთან, ი. ფიოლეტოვთან, მ. აზიზბეკოვთან, მ. ვასილიევ-იუჟინსა და სხვებთან ერთად ენერგიულად ხელმძღვანელობს ბაქოს პროლეტარიატის საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვებსა და შეიარაღებულ დემონსტრაციას. იგი იყო ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს ბოლშევიკური ფრაქციის ხელმძღვანელი.

ა. ჯაფარიძე ბაქოს ბოლშევიკებმა გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლად გადამწყვეტი ხმის უფლებით რსდმპ III ყრილობაზე ლონდონში, სადაც პირადად გაეცნო ვ. ი. ლენინს. იგი რამდენჯერმე გამოვიდა სიტყვით ყრილობაზე დღის წესრიგის სხვადასხვა საკითხზე. მ. ცხაკაიასთან ერთად გადაჭრით უჭერდა მხარს ვ. ი. ლენინის ხაზს. ვ. ი. ლენინის მოწონება დაიმსახურა მისმა გამოსვლამ პარტიულ ორგანიზაციებში მუშებისა და ინტელიგენტების როლის საკითხზე. ამ ხილულდა რა ყრილობის ზოგიერთი დელეგატის გამოსვლას კომიტეტებში მუშების შეყვანის წინააღმდეგ, თითქოს მუშებს შორის არ ყოფილიყონ პოლიტიკურად მომზადებული და უნარიანი ამხანაგები, ჯაფარიძემ განაცხადა: „მიკვირს, რატომ ამბობენ, რომ არ არიან ისეთი მუშები, რომელთა შეძლებასაც შეეძლებოდეს კომიტეტებში. პირიქით, ისინი იმდენი არიან, რომ შეუძლებელია ყველა მათზანის კომიტეტებში შეყვანა". ვ. ი. ლენინმა მხურვალედ მოიწონა ეს განცხადება და მას უაღრესად ძვირფასი უწოდა.

რსდმპ III ყრილობის დამთავრების შემდეგ ა. ჯაფარიძე ბაქოში, სათავეში უდგას ბაქოს პროლეტარიატს და ეწევა უდიდეს მუშაობას რსდმპ III ყრილობის დადგენილებათა განხორციელებისათვის.

ა. ჯაფარიძე სტეფანე შაუმიანთან ერთად იყო 1906 წელს ბოლშევიკურ გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის" გამოცემის ორგანიზატორი. მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა ბაქოს ნავთობის მრეწველობის მუშათა კავშირი, რომლის გამგეობის მდივანი იყო სამი წლის განმავლობაში. ამავე დროს ი. სტალინთან, ს. შაუმიანთან, ს. სპანდარიანთან და სხვებთან ერთად ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციისა და ნავთობის მრეწველობის მუშათა კავშირის ყველა გამოცემის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ა. ჯაფარიძე შესანიშნავი ჟურნალისტი იყო. როგორც ახლა ირკვევა, ჟურნალისტურ მოღვაწეობასთან ერთად მის კალამს ეკუთვნის მთელ რუსეთში პირველი რეცენზია ვ. ი. ლენინის წიგნზე „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", რომელიც 1909 წლის მაისში დაიბეჭდა ბაქოს მენშევიკურ გაზეთში.

1909 წლის ივლისში ა. ჯაფარიძე, როცა თბილისიდან ბაქოში დაბრუნდა, დაუპატიმრეს და 1910 წლის ივლისში დონის როსტოვში გადასასლეს. 1910-1911 წლებში ა. ჯაფარიძე დონის როსტოვში ეწევა უაღრესად ნაყოფიერ მუშაობას. იგი მ. მკირიატოვთან ერთად ხელმძღვანელობდა დონის როსტოვის ბოლშევიკურ ორგანიზაციას. 1911 წლის მარტში ა. ჯაფარიძეს დონის კომიტეტის სხდომის მიმდინარეობის დროს აპატიმრებენ და სამი წლის ვადით ასახლებენ ვოლოგდის გუბერნიის სოფელ ველიკი უსტიუგში. 1914 წლის ივლისში ჯაფარიძე ბრუნდება თბილისში და სათავეში უდგება თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციას. მან რეპრესიების შედეგად დარბეული ორგანიზაციის მუშაობა გამოაცოცხლა და თბილისის კომიტეტი აღადგინა.

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში საქართველოს ბოლშევიკებმა ა. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწიეს ომისა და რევოლუციის საკითხებზე ლენინური ტაქტიკური ხაზის გატარებისათვის.

ომის საწინააღმდეგო პროპაგანდისა და რევოლუციური მუშაობის გაძლიერებისათვის 1915 წლის მაისში ორჯონიკიძე ა. ჯაფარიძე დაუპატიმა. მას მიესჯა ციმბირში გადასახლება პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. 1915 წლის ნოემბერში ა. ჯაფარიძე ენისეის გუბერნიის სოფელ კამენსკში ჩაიყვანეს.

პოლიტიკურ საქმეზე გადასახლებულებს იქ ჰქონდათ თავიანთი ორგანიზაცია, რომელთანაც ა. ჯაფარიძემ მაშინვე დამყარა კავშირი. მას ირჩევენ ამ კომიტეტის კამენსკის განყოფილების წევრად. მისი ინიციატივით 1915 წლის ზაფხულში მოწვეულ იქნა ანგარისპირეთის პოლიტპატიმართა კრება, რომელმაც მიიღო ლენინური რეზოლუცია ომისადმი ბოლშევიკების დამოკიდებულების საკითხზე. ყანდარმერიამ ა. ჯაფარიძე დაუპატიმრა და ენისეისკში გაამწესა, მაგრამ იგი ახერხებს გზიდან გაქცევას და ჩადის პეტროგრადში, სადაც იღებს დაგალებას კავკასიაში გამგზავრების შესახებ.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ა. ჯაფარიძე დაუყოვნებლივ ბრუნდება თბილისში. 1917 წლის აპრილში ბაქოს პარტიულმა ორგანიზაციამ და „ნავთობის მრეწველობის მუშათა კავშირმა" ა. ჯაფარიძე სამუშაოდ მიიწვიეს ბაქოში. ამ დროიდან იგი ს. შაუმიანთან, ი. ფიოლეტოვთან, მ. აზიზბეკოვთან და სხვებთან ერთად სათავეში უდგას ბაქოს პროლეტარიატს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ალექსანდრა ჯაფარიძეს ირჩევენ რსდმპ გაერთიანებული ორგანიზაციის ბაქოს კომიტეტის, მისი ორგანოს გაზ. „ბაკინსკი რაბოჩის" ხარედაქციო კოლეგიის და ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს შემადგენლობაში. აქ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა, როგორც ბაქოს მუშებსა და ნავთობის მრეწველთა მორის კოლექტიური ხელშეკრულების შემუშავებელი და გამტარებელი კომისიის თავმჯდომარე, მუშათა და ჯარისკაცთა კრებებსა და მიტინგებზე გამოდის მოხსენებებით, ხელმძღვანელობს პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მუშაობას.

ა. ჯაფარიძე ბაქოელი ბოლშევიკების სხვა წარმომადგენლებთან ერთად როგორც დელეგატი მონაწილეობს რსდმპ (ბ) VI ყრილობის მუშაობაში. ყრილობაზე რამდენჯერმე გამოდიდა სიტყვით და მხარი დაუჭირა პარტიის ლენინურ ტაქტიკას. ა. ჯაფარიძემ ყრილობას გაუკეთა ვრცელი ინფორმაცია ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის „ჰუმეთის" მუშაობის შესახებ. ყრილობამ ა. ჯაფარიძე აირჩია რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

ყრილობის მუშაობის დამთავრებას შემდეგ ა. ჯაფარიძე ერთხანს დარჩა პეტროგრადში, შეხვდა პეტროგრადელ ბოლშევიკებსა და „ერონმტადგილ" მუშებს, პარტიის გამოჩენილ მოღვაწეებს — ი. სტალინს, ი. სვერდლოვს, ს. ორჯონიკიძისა და სხვებს. [illegible] მიიღო სახელმძღვანელო მითითებები და რჩევა-დარიგება. ბაქოში დაბრუნებისთანავე ა. ჯაფარიძე, მ. ცხაკაიასთან, ფ. მახარაძესთან, ს. შაუმიანთან და პარტიის სხვა ცნობილ მოღვაწეებთან ერთად სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლას რსდმპ (ბ) VI ყრილობის დადგენილების განხორციელებისათვის.

ა. ჯაფარიძემ მ. ცხაკაიასთან, ს. შაუმიანთან, ფ. მახარაძესთან და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სხვა ხელმძღვანელებთან ერთად დიდი მუშაობა გასწია კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი სამხარეო ყრილობის მომზადებისათვის. ყრილობამ დასახა კავკასიაში სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განტარებისათვის ბრძოლის პროგრამა. ყრილობის მერე ა. ჯაფარიძე არჩეულ იქნა რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის შემადგენლობაში.

1917 წლის 2 (15) ნოემბერს ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ხელში აიღო ძალაუფლება, აირჩია ახალი აღმასრულებელი კომიტეტი ს. შაუმიანის მეთაურობით, ხოლო აღმასკომის შემადგენლობაში არჩეულ იქნა ა. ჯაფარიძე. იმის გამო, რომ ბაქოს საბჭოს თავმჯდომარე ს. შაუმიანი რუსეთის სახკომსაბჭოს დადგენილებთ დანიშნულ იქნა კავკასიის საქმის საგანგებო კომისრად, 1918 წლის 13 იანვარს ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ა. ჯაფარიძე. ბაქოს საბჭომ ა. ჯაფარიძის მეთაურობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

ამით შეშფოთებული კონტრრევოლუცია თურქი იმპერიალისტების დახმარებით აძლიერებს შეტევას. იქმნება ბაქოს რევოლუციური თავდაცვის კომიტეტი ს. შაუმიანის (თავმჯდომარე), ა. ჯაფარიძის, გ. ყორღანოვის, ნ. ნარიმანოვის და სხვათა შემადგენლობით.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამ წამოაყენა დროებითი ორგანოს — რევოლუციური თავდაცვითი კომიტეტის მუდმივი და ფართო ორგანოთი — სახკომსაბჭოთი შეცვლის საკითხი. 1918 წლის 25 აპრილს შეიქმნა ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო, სადაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნა ა. ჯაფარიძე, რომელიც ამავე დროს იყო ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. [illegible] საბჭომ მრავალ დონეთ განახორციელა მიტად [illegible] სამხედრო [illegible] ფინანსური [illegible] ეკონომიური ღონისძიებები. ა. ჯაფარიძე იყო ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის ერთ-ერთი მდივანი, ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი. 1918 წლის ივნისში, როცა ბაქოს კომუნა მძიმე სასურსათო პირობებში აღმოჩნდა, იგი სასურსათო საქმეთა სახალხო კომისრადაც დანიშნეს. მისმა ორგანიზატორულმა ნიჭმა, მტკიცე რევოლუციურმა ტაქტიკამ, რკინის ნებისყოფამ და დაუღალავმა ენერგიამ ამ საქმეშიც გამოიღო თავისი ნაყოფი.

როგორც ცნობილია, შინაგან კონტრრევოლუციისა და გარეშე ინტერვენტების ჯარბი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში ბაქოს კომუნა დრობით დაეცა. ა. ჯაფარიძე ბაქოს 26 კომისართან ერთად დაუპატიმრეს და 1918 წლის 20 სექტემბერს მხეცურად დახვრიტეს. ისტორიამ სამარცხვინო ბოძზე გაკრა ინგლისელი ჯალათები და მათი ესერ-მენშევიკი აგენტები. ასეთი ავაზაკური თავდასხმები და ბოროტმოქმედება შეუძლიათ ჩაიდინონ, როგორც ი. ბ. სტალინი წერდა: „...მხოლოდ იმპერიალისტ კაციჭამიებს, რომლებიც ბოლომდე გახრწნილან და რომლებსაც ყოველივე მორალური სახე დაუკარგავთ".

საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნიზმისათვის საბრძოლო პოსტზე გმირულად დაეუბული მებრძოლის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, ამიერკავკასიის ბოლშევიკების ერთ-ერთი საყვარელი ხელმძღვანელის ალიოშა ჯაფარიძის ნათელ სსოვნას სიყვარულით ინახავს მადლიერი საბჭოთა ხალხი.

დღეს ა. ჯაფარიძის სახელს ატარებენ საქართველოსა და აზერბაიჯანის მთელი რიგი კოლმეურნეობები, ქარხნები, კულტურული დაწესებულებები, ქალაქებსა და დაბა-სოფლებში — ქუჩები. გამოცემულია მისი რჩეული სტატიების, სიტყვებისა და წერილების კრებული, ბიოგრაფიული ნარკვევი.

იმ საქმის გამარჯვება, რომელსაც თავი შესწირა ა. ჯაფარიძემ, ამ სახელოვანი რევოლუციონერ-ბოლშევიკის სსოვნის საუკეთესო ძეგლია.

პროფესორი

ი. მირცხულავა.

ქართული ქქტივის ქრებაზე

ერთსულოვნად იწონებენ

ბათუმი. (საქდესი). გაიმართა საქართველოს კპ აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო ორგანიზაციების აქტივის კრება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე/სესიის შედეგებისა და ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თხილაიშვილმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. კოპლატაძე, პარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი რ. სიორიძე, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი ა. კაკბარავა, ხულოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. რიგაძე, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის მუშა კ. შენგელია, პარტიის შუახევის რაიკომის პირველი მდივანი მ. ხოხრეკანაძე, ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ჭერქეზე, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის დირექტორი გ. ცინცაძე, № 5 საერთო-სამშენებლო ტრესტის უფროსი მ. უსტიაშვილი, ბათუმის ზოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორი ი. ნაკაიძე, ბათუმის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ბახტაძე.

კრების მონაწილეებმა მთლიანად და სავსებით მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პრაქტიკული საქმიანობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. კრებამ ერთსულოვნად აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შემდეგ გამართულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიას, რომელმაც დამტკიცა საბალო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმა, სახელმწიფო ბიუჯეტი, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები.

კეთილი მოსასურვება — ყველა ოჯახს

გაიმართა რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა აქტივის კრება. მოხსენება 1969 წელს გაწეულ მუშაობისა და მომსახურების სფეროს შემდგომი გაუმჯობესების ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ფ. ადუმბაძემ.

გასულ წელს საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკებმა მოსახლეობას გაუწიეს 50 მილიონი მანეთის მომსახურება. წლიური დაგალება შესრულდა 100,3 პროცენტით.

საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკთა ახალი შრომითი ალმაცლობა გამოიწვია შეჯიბრებამ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად აღნიშნისათვის. მუშათა და მოსამსახურეთა ენთუზიაზმს, რომელიც მოახლოებულმა თებერვალმ გამოიწვია, მოწმობს ის, რომ საწარმოო დაგალებანი პირველად შეასრულეს გადაჭარბებით ოფაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკებმა, ფაბრიკებსა და კომბინატებში, ატელიეებსა და სახელოსნოებში იბადება საინტერესო წამოწყებანი, შემოქმედებითი ძიებანი.

მიუხედავად ამისა, მშრომელთა მოთხოვნები სრულიად როდი კმაყოფილდება. ახლა უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება გაწეული მომსახურების თვითღირებულების შემცირებისა და რენტაბელობის გადიდების საკითხებს. ამ მიმართულებით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ უკვე ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ ჯერ კიდევ არის სახელოსნოები, სადაც სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან თვითღირებულების შემცირებისა და შრომის საყოფიერების გადიდების საკითხებს. სარემონტო სამუშაოებს აწარმოებენ ხელით, სუსტ კონტროლს უწევენ ნედლეულისა და მასალების სარჯვას.

ახალი, 1970 წელი, ლენინის იუბილეს წელი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კოლექტივებმა დაიწყეს დეკეზით „შრომითი ვახტის თვითეული დღე ლენინური დამკვრელური მუშაობის დღეა!"

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. (საქდესი).

სადაც ვშობილვარ, გაკვზრდილვარ...

მალე ნახვამდე, ჩემო სოფელო!

ისევ შენს მიწაზე ვდგავარ, შენი მაერით ვსუნთქავ, შენს თვალუწვდენელ სივრცეს გავცქერი ჩემო სოფელო... რარიგ დამშვენებულხარ, გალალებულხარ, მხარში გაშლილხარ... მახსოვს, რა იყავი ოცი წლის წინ: ერთი პატარა სოფელი, ვიწრო შუკებითა და ორლობეებით, ფიცრული სახლებით, დარში მტვრის ბუღით, ავდარში გაუვალი ტალახით, შენს სახელს — გავაზს კარგად იცნობდნენ ყვარლის რაიონს გარეთაც. მალარია და ციებ-ცხელება იყო შენი ადამიანების სატკივარი და ავადმყოფობა.

ომისშემდგომი პერიოდი იდგა. პირგამეხებული იარა კი ჯერაც არ შეხორცებულიყო. ირგვლივ ისმოდა შინმოუსვლელთა დატირების გულშემეხარავი ხმები. მაგრამ ჭირხა და ვარამს გამოვლილი შენი ადამიანები გულს არ იტეხდნენ; ცხოვრობდნენ, ქმნიდნენ, სხვებთან ერთად მათი ნაამაგარიც ქვეყნის აღმშენებლობის დიად საქმეს ხმარდებოდა და სოფელში სოფლისათვის არავის ეცალა.

მეც შენი ფართო გულიდან გავხედე მაშინ ცხოვრებას. მახსოვს, სოფლის თავკაცისა და საუკარელი ადამიანის დავით იმედაშვილის მამაშვილური დარიგებებით რომ წარმიდგენე ქალაქიდან ჩამოსულ სოფლის მასწავლებელს შენს მიწაზე დამკვიდრებული დაუწერელი კანონები: აქ სიმართლე, პატიოსნება, გამჭვანობა, პირდაპირობა, შრომა და სიყვარული სუფევს და არავის აქვს უფლება ამ სიწმინდეთა შებღალვისა...

შვიდელი თუ ვერა შენი განაწესის შესრულება, არ ვიცი; მთავარი ის არის, რომ შენს მიწაზე უმიზნოდ მოხეტიალე, უსაქმური, მიუსაფარი და უსულგულო ადამიანი მე არ მინახავს. ჩანს შემდეგშიაც ასე ყოფილა, თორემ ოც წელიწადში შენი ასეთი ფერიხცვალება, ამალლება და გადიდება ალბათ შეუძლებელი იქნებოდა.

ნიპავის ფრთებს მოაქვს შენი მინდვრების გამბრუებელი, მსუყე სურნელი. თავი ზღაპრების ქვეყანაში მგონია. ბოლო არ უჩანს შენს სანახებს. მაშინ სამ კოლმეურნეობას 40 ჰექტარი ვენახიდან ჰქონდა, ახლა ოთხას ჰექტარზე გადაჭიმულა ერთი გამსხვავებული კოლმეურნეობის ზვრები. მარცვლეულ კულტურათა გაჯიბრება შენს მიწაზე პურის ყანების გამარჯვებით დამთავრებულა, საშუალოდ ჰექტარზე 19 ცენტნერი მოუყვანიათ და 424 ჰექტარზე მიღებულ პურის უხვ მოსავალს ბელღები დოვლათით პირამდე აუვსია. სიმინდი, ყაზანლიყის ვარდი, რეპანი, ნილი, ბოსტნეული, მეცხოველეობა — ადამიანის სამსახურში უყოყმანოდ ჩამდგარა და გლეხკაცის გულის გასახარად ხვავად, ბარაქად ქცეულა.

ნაამბობიდან მახსოვს, როცა ოცდაან წლებში ამერიკული, ფორდზონის ფირმის ტრაქტორი შემოუტანიათ სოფელში, სახელდახელოდ თავშეერილი ბალი დიდხანს შესაქერდა თურმე ამ საკვირველებას. ახლა 49 ტრაქტორი, 6 თვითმავალი კომბაინი და ტექნიკის ბევრი სხვა საშუალება ეხმაურებოდა ადამიანის მარჯვენას. თესვიდან ბედელში შტანამდე პურის მოყვანის ყველა პროცესი მანქანით სრულდება. მექანიზებულია სიმინდის და ვენახის მოვლა-პატრონობის ნახევარზე მეტი სამუშაოები.

ეს საუნჯენი ნაწილ მებალიშვილის, ვარო პაკაცოშვილის, სიკო ჩუგუშვილის, გოგი ბიჭიკაშვილის, ილია გაიკარაშვილის, შალიკო ტალაშვილის, ოთარ საიქადისა და სხვათა მოუღლელ მარჯვენას მოუფრქვევია შენს გულზე. მარგალიტებად მოურთავს შენი სახე. რომელ დიდ ქალაქს არ დაამშვენებდა ლარივით გაბიმული, მოასფალტებული შენი მთავარი ქუჩა; მოკირწყლული და მომირკეთებული განიერი შარაგზები, კოხტად ნაგები ორსართულიანი სახლები.

სოფლის შუაგულში გაშლილ მოედანზე ორსართულიანი შენობების წყება შემდგარა. ერთ მათგანში სასოფლო საბჭოა ოთხასადგილიანი კოაწია დარბაზით. სოფელში დრამატული, ქორეოგრაფიული წრეები, მომღერალთა კვარტეტი, მდიდარი ბიბლიოთეკა ადამიანთა გონივრული დასვენებისა და კულტურული გართობის მძლავრ საშუალებებად ქცეულან. ორი მაღალი, კულტურული მომსახურების კომბინატი, კავშირგაბმულობის განყოფილება ხავსებით აკმაყოფილებს აქაურ ადამიანთა საყოფაცხოვრებო მოთხოვნებს. საუნნო საავადმყოფო, პოლიკლინიკა და აფთიაქი დარაჯობენ სიცოცხლეს, ადამიანთა ჯანის სიმრთელეს.

წვრილად მოწანწკარე პატარა მდინარე ჩანტალსაც მალე ეცვლება სახე და ნირი. მის ნაპირებზე სულ მალე ამბრნდება მწვანე სკვერი, სოფლის ადამიანთა დასვენების ლამაზი ადგილი.

ცოტა ზემოთ, გზის პირას მოჩანს ჩემი შრომითი სარბიელის, პირველი რწმენისა და ტკბილი ოცნებების წმინდა სავანე — საშუალო სკოლის თეთრი შენობა. იგი ნაღელავი და ფრთაშეკვეცილი მეჩვენა თითქოს. ეტყობა ახალ, ორსართულიან სკოლას „დაეჩაგარავს", სილამაზე და ელფერი წაერთმევია მისთვის. პირველ სექტემბერს სოფლის თვალმახარა ბოგობეების უმრავლესობას ხომ სკოლის ზარმა ამ ახალ შენობაში მოუხმო და სავსებით „გასაგებია მისი „გულისტკივილი". მაგრამ ამ პატარა, უპრეტენზიო შენობიან ღირსეულად მოიხადა ვალი სოფლისა და ხალხის წინაშე. მის კედლებში აღიზარდა სოფლის ინტელიგენციის დიდი ნაწილი. აქ შეიცვნეს ჩემებრ ახალბედებმა შრომისა და ადამიანის ყადრი, აქედან დაინახეს უტყუარი სარკე თავიანთი საქმიანობისა: თუ შრომასა და გარჯას გულს მიატან, სხვათა სარგებლობისათვის თავს დასდებ, სოფელი და ადამიანის გული ერთ მარცვალსაც არ დაკარგავს, ნოყიერ ნიადაგზე ასკეცად ამოიყვანს, უხვად გაგხარებს, სამარადუამოდ თაობიდან თაობას გადასცემს ლამაზი სიცოცხლის საგალობელს.

ამ უსაზღვრო სიყვარულსა და დაფასებაშია ალბათ შენი ანდამატური ძალა, ჩემო სოფელო! ალბათ ამიტომ არ გთმობენ შენი კეთილი, შრომისმოყვარე ადამიანები.

შენმა ხიცოცხლემ, მეც ძლივს დაგომე. კი არ დაგომე, წავედი, მაგრამ სადაც არ ვიყავი, საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, ყველგან თან მდევდა შენი მზე და მწვანე კალთა, შრომის სალამურებად ქცეული შენი ადამიანების ალალი გული და დიდი ბუნება. ახლაც მივდივარ, მაგრამ არ გეთხოვები. მინდა, ძალიან მინდა საქართველოში თებერვლის მზის ამობრწყინების ორმოცდაათი წლის იუბილეს შენს მიწაზე შევხვდე. შენს ხალხთან ერთად ვიზეიმო შენი ფერიხცვალება, ზრდა და ამალება. მალე ნახვამდე, ჩემო მადლიანო სოფელო!..

თინა ზარგინავა,

სოფელი ბაკაზი — თბილისი.

ამაგდარნი

ახსოვთ ამ სურათს და გული სიამაყით აგივსებთ. ეს სახელმოხვეჭილი ადამიანები სოფლის ერთგული შვილები არიან. მათ მთელი ენერგია, გამოცდილება შთობლიური სოფლის კეთილდღეობის საქმეს მოახმარეს. თავდადებულმა შრომამ დაუმშვენა ამ ადამიანებს მკერდი ოქროს ვარსკვლავებით. ისინი მოღვაწეობენ ცხაკაიას რაიონ ს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა უბანზე.

სურათზე: სოციალისტური შრომის გმირები — ვერა ღვინჯილია — მეჩაიე, (მარცხნივ), მ. სპბახტარაშვილი — სოფლის მეურნეობის მუშაკი, ი. გოგინავა — აგრონომი, ნ. ბაგაშა — ნოსირის დაფნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, რ. სარმანია — ახალსენაკის საბჭოთა მეურნეობის აგროგანყოფილების მმართველი, მ. კუპრეიშვილი — ზანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბ. ბვინია — სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატი.

ამ გაჭაღარავებული ადამიანების შრომა, ცხოვრება და თავიანთი სოფლის სიყვარული ჩვენი ახალგაზრდობისათვის მისაბაძი მაგალითია. (საკ. კორ.).

ფოტო ბ. ჯაჯელისა.

ჩვენი ავტორების კალმით

გუშინდელი ფოსტიდან

● ასპინძა. რაიონის საწარმოდაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა სკკპ ცენტრალური კომი

საქართველოს მთა და ბარი

თქვენთვის, წიგნის, მოყვარულნო!

„საუნჯე“ ექვითსვეულებს ელის

რეკონსტრუქციის შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე კვლავ გაიხსნა „საქწიგნის“ გაერთიანების პირველი წიგნის მაღაზია „საუნჯე“. მაღაზიის რეკონსტრუქცია განახორციელა რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა დამპროექტებელმა სახელმწიფო ინსტიტუტმა (პროექტის ავტორია არქიტექტორი ი. ჩხიკვაძე). სამუშაოები შესრულა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ (ინჟინერი კ. გეგელაშვილი).

პირველი, რაც მაღაზიაში მოსულ მყიდველებს იზიდავს, ეს არის ლენინის კუთხეები, რომლებიც დიდი ბელადის დაბადების 100 წლისთავისათვის მოეწყო. აქ გამოფენილია სახელოვანი იუბილესადმი მიძღვნილი ახალი წიგნები, რომლებიც რესპუბლიკის გამომცემლობებმა გამოუშვეს. პოლიტიკური ლიტერატურის განყოფილებაში შეგიძლიათ შეიძინოთ ვ. ი. ლენინის შრომების კრებული „ხელმძღვანელის ავტორიტეტის შესახებ“, ფ. მახარაძის „აქ ცხოვრობდა და მუშაობდა ლენინი“, შ. კუპუნიძის „ლენინი მასწავლებლის როლის შესახებ“ და სხვ.

მაღაზიაში პირველად არის მოწყობილი საცნობარო ბიურო. სადაც მყიდველს შეუძლია გაიგოს, არის თუ არა მაღაზიაში მისთვის საინტერესო წიგნი. აქვე მოწყობილია სარეკლამო მასალების მაგიდა, სადაც გამოფენილია როგორც რესპუბლიკურ, ისევე ცენტრალური გამომცემლობათა გეგმები. წიგნის მოყვარულთ შეუძლიათ გაეცნონ მას, შეიტყონ, რა წიგნები გამოვა მიმდინარე წელს.

მაღაზიაში მოწყობილია მხატვრული, პოლიტიკური, ტექნიკური, სამედიცინო ლიტერატურის, ხელოვნების დარგის, სახვითი ხელოვნების პროდუქციის, სასკოლო - საკანცელარიო ნივთების განყოფილებანი. თუ რეკონსტრუქციამდე მაღაზიაში საშუალოდ დღეში იყიდებოდა 1.500-მდე წიგნი, გაფართოების შემდეგ ეს რიცხვი გადიდდება.

მაღაზიის კედლები გაფორმებულია ფერადი მოზაიკური პანოებით, რომლებიც მხატვრული ფონდის სახელოსნოს მხატვართა ჯგუფმა შეასრულა.

14 იანვარს, მაღაზიის გახსნის დღეს, აქ მოვიდნენ ქართველი მწერლები, მეცნ. მკითხველი, მოსწავლე ახალგაზრდობა, პრესის წარმომადგენლები. მაღაზია „საუნჯეს“ ეწვივნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ძ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე დ. ვ. გოგოხია, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ი. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ზ. გ. ახვლედიანი.

(საქდესი).

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ზესტაფონი. (საქ. კორ.). გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანაში ნაყოფიერად მუშაობს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სახალხო უნივერსიტეტი, რომლის რექტორია ქარხნის დირექტორის მოადგილე, საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი ელ. გაჩეჩილაძე.

უნივერსიტეტს 105 მსმენელი ჰყავს. ლექციები იკითხება ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, ავტომატიკის, ახალი ეკონომიური რეფორმის ძირეულ საკითხებზე. აქვე მსჯელობენ ცალკეული საამქროების ეკონომიურ მაჩვენებლებზე, ანალიზს უკეთებენ მათ, რაც მეტალურგებს პრაქტიკულ საქმიანობაში ეხმარება.

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ჰიათურა. (საქ. კორ.). ამ რამდენიმე ხნის წინათ საექსპლოატაციოდ გადაეცა ჰიათურის საკერვალო ფაბრიკა, რომელიც ააგო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ჰიათურის მარგანმშენის № 8 ტრესტის კოლექტივმა. ფაბრიკაში 1.200-მდე კაცი მუშაობს. საშუალო სკოლიდან მოვიდნენ ფაბრიკაში მარინე ლეფავა, დარეჯან ჯიქურიძე და სხვები. ქალიშვილები მალე დაეუფლნენ მკერავის პროფესიას და დადგენილებები დიდი გადატვირთვებით ასრულებენ. მათი ნახელავი ყოველთვის მაღალხარისხოვანია.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲘ

ᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲛᲐᲰᲐᲠᲐᲫᲘᲡ რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მექანიზატორებს შოთა და დონარა მახარაძეებს. შოთა პირველი მიუჯდა ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს“ შტურვალს. ერთი წლის შემდეგ ქმრის მაგალითს მიბაძა დონარამ. ამ დღიდან მოყოლებული ცოლ-ქმარი მუდამ ერთად მუშაობენ და შედეგსაც კარგს აღწევენ. მარტო შარშან თავიანთ მანქანაზე შოთამ და დონარამ მოკრიფეს 11.150 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მიიღეს 3.000 მანეთი შემოსავალი.

ამჟამად მექანიზატორები ეწევიან ჩაის მწკრივთაშორისების გაფხვიერებას, პლანტაციებში შეაქვთ მინერალური სასუქები და თავიანთ მანქანა „საქართველოს“ ამზადებენ მომავალი სეზონისათვის. **ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ:** მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მექანიზატორები ცოლ-ქმარი შოთა და დონარა მახარაძეები; „საქართველოს“ მართავენ ცოლ-ქმარი მახარაძეები; პატარა გულიკოც ოცნებობს გახდეს მექანიზატორი და ატაროს ჩაის საკრეფი მანქანა. ჯერჯერობით კი წერა-კითხვას სწავლობს.

ᲤᲝᲢᲝ Მ. ᲓᲐᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

(საქდესის ფოტოქრონიკა).



ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲗᲐᲜ ᲤᲝᲢᲝᲙᲐᲠᲘᲗᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — მსახიობები ნ. კოდანოვა (მარგო) და ბ. ბეგალიშვილი (კურკა), ქვემოთ — სცენა სპექტაკლიდან.

ᲤᲝᲢᲝ ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ.



ᲙᲣᲠᲙᲐᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲚᲘ

Ა. Ბ. ᲑᲐᲘᲜᲓᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტმა, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა აკაკი გიორგის-ძე ბაინდურაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „სახელდების პრობლემა ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ა. გ. **ბაინდურაშვილისათვის** ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის- სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — მსახიობები ნ. კოდანოვა (მარგო) და ბ. ბეგალიშვილი (კურკა), ქვემოთ — სცენა სპექტაკლიდან.

ᲤᲝᲢᲝ ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ.

თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე სპექტაკლი „აშრამს ქრწყილი“ მოგვვლინა როგორც სრულიად ახალი, მძაფრი ყოფითი და სოციალური სიტუაციებით, დრამატული და კომედიური მომენტებით აღსავსე სანტერესო ნაწარმოები, რომელიც შთაგონებულია მიხ. ჯავახიშვილის ბრწყინვალე მოთხრობით.

დრამატურგმა მ. თარხნიშვილმა შეცვალა თვით არსი. რაში მდგომარეობს იგი? უწინარეს ყოვლისა ეს არის თვით კურკა — კეთილი, მაგრამ ბეჯავი, ჯაბანი და ხეიბარი ლიტერატურული გმირი, რომელიც მ. თარხნიშვილმა სიცოცხლის, გამარჯვების, უკეთესი მომავლისა და სიმართლის რწმენით გამსჭვალულ გმირად აქცია. ეს არის მთავარი დრამატურგიული ხაზი, რომლის ირგვლივაც იქმნება ცხოვრებისეული სურათები. ძველი თბილისი ის ასპარეზია, რომელზეც დროგადასულ პერსონაჟებს ვიედავთ, მაგრამ დრამატურგის დამსახურება იმაშია, რომ ეს გმირები საოცრად თანამედროვე ზრახვებისა და მისწრაფებების მქონე ადამიანებად გვევლინებიან. ყარაჩოღლთა ამქარი, უბრალო ხელოსნები, თვით მდიდარი ვაჭრის ცოლიც არის ის მასა, რომელიც თავისი განწყობილებებით, მოქმედებით აღვიძებენ კურკას სულში საკუთარი იღბლისათვის ბრძოლის სურვილს. ერთი შეხედვით თითქოს ეს ტრაგიკული ფერებით შეზავებული მომენტები ეწინააღმდეგება თვით მუსიკალური კომედიის ჟანრს. მეორე მხრივ კი იგი უფრო მნიშვნელოვანს ხდის პიესაში ასახული ცხოვრებისა და შინაარსის განვითარებას. თვითონ კომიკურიც კი ამ დაბაბულის ფონზე, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, უფრო კომიკურად ჟღერს და ყარბოგვიდება, რადგან სასაცილოს საწყისად თავისთავად სასაცილო კი არ ულეს, არამედ სოციალურად მნიშვნელოვანი, დამფერებელი და ამგვარად, უფრო საგულისხმო და შინაარსიანი მოვლენები. მაგრამ აქ, ამ დახასიათებაში გვსურს სპექტაკლის რეჟისორის, თეატრის, მისი ახალი შემოქმედებითი კურსის შესახებ ვთქვათ ორიოდე სიტყვა, რადგან ამგვარ სიახლეში თვით თეატრი რომ არ ყოფილიყო დაინტერესებული, განსხორციელებაზე ლაპარაკი ზედმეტიც იქნებოდა.

„კურკას ქორწილის“ მუსიკა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კომპოზიტორ ბ. ᲑᲘᲠᲩᲘ ᲒᲐᲑᲐᲫᲔს. როცა გიორგი ცაბაძის შემოქმედებას განვიხილავთ, ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად არაერთხელ აღვნიშნავთ ხოლმე ქალაქური ფოლკლორის კარგ ცოდნასა და დამუშავებას. როგორც მელოდისტი, გიორგი ცაბაძე ცნობილი შემოქმედია. ბევრი მისი სიმღერა ხალხურად იქცა და ეს ყველაზე უფრო საამაყო დასასიათებაა კომპოზიტორისათვის. უკანასკნელ წლებში გ. ცაბაძის რამდენიმე ოპერეტამ უდიდეს წარმატებას მიაღწია.

თავიდანვე ვიტყვით, „კურკას ქორწილი“ კომპოზიტორის მიერ ამ ჟანრში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია. ოპერეტაში მთავარი, რაც ყურადღებას იპყრობს, არის მუსიკალური აზროვნება, რომელიც კვალდაკვალ მიჰყვება პიესას. თუ ოპერეტის ცალკეულ მუსიკალურ ნაწყვეტებს განვიხილავთ და აღვნიშნავთ მათს ღირსებებს, ეს მხოლოდ ჭეშმარიტების გამორება იქნება, რადგან მუსიკის მოყვარული ისედაც მიჩნეულნი არიან ცაბაძისეულ კარგ ცალკეულ სასიმღერო ნაწარმოებებს.

„კურკას ქორწილში“ ყურადღებას იპყრობს სულ სხვა და, ჩვენი აზრით, მთავარი გარემოება. ეს არის მუსიკალური დრამატურგია. იგი მკაფიო, შეტყველი და პროფესიული ოსტატობით არის შექმნილი.

სპექტაკლი დაფუძნებულია ბელგიის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა ბ. ᲑᲐᲠᲩᲘᲙᲘᲡᲛᲐ.

უწინარეს ყოვლისა რეჟისორის გამჭრიახობა, ალღო და თვითეული მსახიობის შესაძლებლობის ცოდნა გამოიჟღავნდა და დამტკიცდა როლების განაწილებაში. ეს პრობლემა რეჟისორმა სწორად გადაჭრა.

სპექტაკლში წინა პლანზე წამოწეულია კურკას სიყვარული ობოლ სოფოსადმი. ამ ფონზე გამოკვეთილია მორალურ-ეთიკური სახე როგორც კურკასი, ისე მის ირგვლივ მყოფი პერსონაჟებისა, ნაჩვენებია სოციალური წინააღმდეგობანი, უბრალო ხელოსანთა ალალმართლობა.

რეჟისორმა შექმნა სპექტაკლი, რომელიც დინამიკურად ვითარდება, ბრწყინვალეა ლოცვის სცენა, რომელიც შეიღლება რეჟისორის უეჭველ გამარჯვებად ჩავთვალოთ.

შექმი განსთებულია მხოლოდ კურკას სახე. მუხლმოდრეკილი მფარველობას სთხოვს ზეციერს, მისი საზრუნავი, ფიქრი და ოცნება ერთი ობოლი გოგოა. აქ თითქოს თვით ის გოგო იქცევა რაღაც კეთილ ანგელოზად. შუქი სადღაც მაღლით გადაინაცვლებს და უკვე ჩანს ის, ვისზეც კურკა ლოცულობდა. სცენა ძლიერია თავისი სიუჟეტიდან, ლირიკული და ადამიანური ვრძნობების სიდიადით, იმ ჭეშმარიტებით, რომ ზეცად და ქვეყნად სიყვარულზე მაღალი ღმერთი არ შეიძლება არსებობდეს.

მშვენიერია ფინალური სცენა, რომელშიც რეჟისორი ფაქიზი, ლირიკული ხელწერის შემოქმედად გვევლინება. კეთილად დამთავრებული მძაფრი, დრამატული მოვლენების მერე შეყვარებულნი განმარტოებით სკამს მოძებნიან და, ჩნიკვ ზაქარას და ქეთევანისა არ იყოს, ერთმანეთის გვერდიგვერდ უზომოდ ბედნიერებს ჩაეძინებათ.

ეს სცენა მუდამ მაყურებლის მქუხარე ტაშით მთავრდება. ვფიქრობთ ეს ტაში მხოლოდ და მხოლოდ რეჟისორს ეკუთვნის.

კურკას ასრულებს მსახიობი ბ. ᲑᲔᲒᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ყურადღებას იქცევს მისი პლასტიკურობა, მოქნილობა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი მეტყველება, მკაფიო, მტკიცე, გამართული. მსახიობის პირველივე გამოჩენა სცენაზე მთამბეჭდავია, ტემპერამენტით სავსე და ასეთად რჩება იგი ფარდის დაშვებამდე. იუმორის კარგი გრძნობა, სიხალისე, გრძნობათა სიუხვე ახასიათებს მის გმირს კურკას. მსახიობი უფრო რეჩიტატივს იყენებს იქაც, სადაც შეიძლება ვოკალი იყოს საჭირო, მაგრამ აკეთებს ამას ძალიან ოსტატურად. ის, რაც მსახიობმა გვაჩვენა ამ როლში, სრულიად ახალია საერთოდ ბ. ბეგალიშვილის შემოქმედებისათვის. მან მშვენივრად შეასრულა დრამატიზმით აღსავსე სცენა, როცა შეიტყო, რომ კარგად სიყვარულს. აქ მსახიობი დავინახეთ სულ ახალი სახით, რომელიც მეტყველებს მის ნიჭსა და ფართო, მრავალმხრივ შესაძლებლობაზე. ერთადერთი, რაც შეიძლება ბ. ბეგალიშვილის კურკას ვუსურვოთ, ეს არის მეტი უშუალობა ლირიკულ სცენებში, შეყვარებულთან ურთიერთობაში.

სპექტაკლში ერთ-ერთი მთავარი როლი ეკუთვნის ნ. ᲙᲝᲓᲐᲜᲝᲕᲐს, შეიძლება ითქვას, მთელი სპექტაკლის მშვენებას. მსახიობს ზუსტად როლისთვის გამოჭრილი, შთამბეჭდავი გარეგნობა აქვს. საოცარია ერთი რამ. ნ. კოდანოვას მარგო უარყოფითი გმირია, მაგრამ მაყურებელი იგი ორმაგ გრძნობას იწვევს. მაყურებელი მის ზრახვებს, ბოროტ მიზნებს არ იზიარებს, მაგრამ ამასთან ერთად მის მიმართ მტრულად არ არის განწყობილი. მსახიობი ისე ოსტატურად ძერწავს თავის გმირს, რომ მაყურებელი ხედება — მარგო სოციალური უკულმართობის ნაყოფია და, ამგვარად, შეცოდების ღირსია. მსახიობს მშვენიერი, ლამაზი ხმა აქვს, რომელსაც ამ როლში უნაკლოდ იყენებს. ერთი სიტყვით, კოდანოვას მარგო არათუ ამ სპექტაკლში, არამედ საერთოდ თეატრის რეპერტუარშიც ერთ-ერთი მკაფიო სახეა.

როცა სპექტაკლის მთავარ მოქმედ გმირებს ვახასიათებთ, უნდა აღვნიშნოთ ბოდა-ვანის შემსრულებლები საქართველოს სახალხო არტისტები შ. სალარიძე და შ. ᲮᲐᲧᲐᲚᲘ. ვ. სალარიძე ხატავს სოციალურ ტიპს, რომლის უარყოფითი მხარეები სუბიექტური თვისებებითაც არის დამძიმებული.

შ. ხაჯალიას ბოდა-ვანო ოდნავ განსხვავდება ვ. სალარიძის გმირისაგან. საერთოდ მსახიობი დრამატულ ნაწილებში შეუდარებელია. აქ ეტყობა თავს იჩენს ის გარემოება, რომ მსახიობი წლების განმავლობაში დრამატულ თეატრში მოღვაწეობდა. მაგრამ მისი ბოდა-ვანო არის კაცი, რომელიც ბოროტია არა თავისთავად, არამედ იქ, სადაც ამისგან რაღაც გამორჩენას მოელის. ერთი სიტყვით, შ. ხაჯალიამ ქმნის თავკერძა, ეგოისტი კაცის სახეს, რომლის ბოროტება თავს იჩენს მხოლოდ ანგარების დროს.

ვ. სალარიძემ და შ. ხაჯალიამ ორივემ ოდნავ ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ თავისთავად მეტად საინტერესო სცენური სახეები შექმნეს. თუმცა ასე რომ არ ყოფილიყო, მსახიობების მიმართ სერიოზული პრეტენზია გვექნებოდა, იმდენად ოსტატურად არის დახატული ლიბრეტოში მათი სახეები და იმდენად გამომსახველი მუსიკალური ჟღერადობა მოუნახა მათ კომპოზიტორმა. სწორედ ეს არ ითქმის ლიზას როლზე. აქ დრამატურგმა საკმაოდ ძნელ მდგომარეობაში ჩააყენა მსახიობი, და თუ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. ᲘᲐᲜᲐᲕᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ იმ რთულ ამოცანას წარმატებით ართმევს თავს, ეს თვით მსახიობის მადლიანი ნიჭისა და რეჟისორის ოსტატობის შედეგია.

კურკას შეყვარებულს სოფოს ორი შემსრულებელი ჰყავს: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. გურაშვილი და მსახიობი ი. ბოჭოიძე.

ე. გურაშვილის სოფო ლირიკული პერსონაჟია, მას შინაგანად სჯერა, რომ საბოლოოდ გაიმარჯვებს. მსახიობს კარგი ვოკალური მონაცემები სამუალებას აძლევს სიმღერით გადმოსცეს თავისი გმირის განცდები. ყურადღების ღირსია მისი ფრაზა, დამთავრებული, შესატყვისად შეფერადებული და მკაფიო.

ი. ბოჭოიძის სოფო შედარებით აქტიური, ტემპერამენტიანია. ამაშია მისი უპირატესობა. მას არა სჯერა, რომ თავისთავად მოვა ბედნიერება, მასში თვით არის აქტივობის საკმაო ელემენტები. სამაგიეროდ გრძნობათა სიუხვე, ემოცია ხანდახან სჭარბობს და მსახიობი ადგილებში ფრაზის დამთავრებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

სპექტაკლი „კურკას ქორწილი“ აღსანიშნავია იმითაც, რომ რეჟისორს მთელი რიგი ეპიზოდები უაღრესად დიდი გულმოდგინებით დაუმუშავებია. სულ რაღაც ათიოდე წუთია სცენაზე მსახიობი ი. დათუაშვილი, მაგრამ ზღვა განწყობილებას გადმოსცემს, გადმოსცემს გულწრფელად, თავისუფლად და საოცარი დამარწმუნებელი ძალით.

უმნიშვნელო, ეპიზოდური როლი აქვს თეატრის ვეტერანს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს მ. ᲑᲘᲠᲘᲐშვილს, მაგრამ მისი ვაჭარი სპექტაკლის ერთ-ერთი გამორჩეული სახეა.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის თ. ხელაშვილის ხარაზი ფიქრუნა ისეთივე დარდიმანდია, როგორიც გარეგნობა აქვს თვით მსახიობს. ამას დაუმატეთ კარგი ვოკალური მონაცემები და ეს როლიც მკაფიოთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ. აღსანიშნავია ᲕᲣᲮᲐᲛᲑᲐᲨᲘ, რომელსაც მსახიობი კოლორიტულად ასრულებს.

მშვენიერი, დასამახსოვრებელი ეპიზოდური სახეები შექმნეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ი. ᲭᲣᲗᲐᲗᲘᲜᲐᲫᲔ, ო. ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ, მსახიობებმა ა. ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ბ. ᲜᲘᲜᲘᲠᲘᲫᲔ, Ჯ. ᲗᲐᲚᲐᲯᲐᲫᲔ, ო. ᲑᲐᲬᲘᲫᲔ, ა. ᲛᲮᲔᲘᲫᲔ. მაყურებელი ერთსულოვანი ტაშით აჯილდოებს ო. ხელაშვილსა და ბ. უვაროს.

ცეკვები დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა Ჯ. ᲒᲐᲒᲠᲘᲜᲝᲕᲐ, და იგი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. ტყუილად კი არ უწოდებიათ მისთვის „ცეკვის პოეტი“. სპექტაკლში ყველა ცეკვა—როგორც საბალეტო ჯგუფისა, ისე ცალკეულ მოქმედ გმირთა — სპექტაკლის შინაარსის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. ეს არ ითქმის მხოლოდ ქალის მიერ შესრულებულ ბალდადურზე. თავისთავად მსახიობი Ა. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔ ბრწყინვალედ ასრულებს ბალდადურს. გასაგებია ქორეოგრაფის ჩანაფიქრიც, რომ ეს ქალი თავისუფალი ქცევით მეგობარ მეთევზეს თევზით ვაჭრობაში შველის, მაგრამ აქ ქორეოგრაფისთვის რეჟისორს ყურადღება არ მიუქცევია და მასთან საერთო ენა არ გამოუნახავს. ამიტომაც ცეკვა ცალკე საკონცერტო ნომრის შთაბეჭდილებას ტოვებს. ქალის შემოსვლა სცენაზე უფრო გამართლებული უნდა იყოს.

სპექტაკლის მხატვრებს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს რ. ᲜᲐᲚᲑᲐᲜᲓᲘᲐᲜᲡᲐ და Ე. ᲓᲝᲜᲪᲝᲕᲐს მშვენიერი დეკორაცია შეუქმნიათ, რომლის მეშვეობითაც კარგად არის გამოყენებული სცენის სივრცე და მსახიობებს მოძრაობა უადვილდებათ.

სპექტაკლი ერთ მთლიან მუსიკალურ ნაწარმოებად კარგად შეკრა და პროფესიული ჟღერადობა მიანიჭა დირიჟორმა რ. ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲫᲔ.

„კურკას ქორწილი“ თეატრის უდავო გამარჯვებაა. კომპოზიტორმა, დრამატურგმა, რეჟისორმა და შემსრულებლებმა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი შექმნეს.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲐᲑᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲤᲣᲠᲔᲑᲘ

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲡᲬᲘᲠᲐᲖᲔ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ პირველობის ფინალისტთა წილისყრის შედეგები ფეხბურთში კვლავ უურადღების ცენტრშია. მიმდინარეობს გაცხოველებული მსჯელობა შექმნილ ჯგუფებზე, ცალკეული გუნდების პერსპექტივებზე, ასახელებენ გამარჯვებულებს. რა თქმა უნდა, პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს მწვრთნელთა და ფეხბურთელთა აზრები. მოვუსმინოთ მათ:

რ. ᲒᲣᲢᲐᲚᲡᲘ,
ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ გითხრათ, ჩვენთვის წილისყრა იდეალური გამოდგა. უკეთესზე ოცნებაც არ შეგვეძლო. ე ი პირადად არ ვიცნობ სალვადორის გუნდს, მაგრამ ეფიქრობ, რომ მექსიკის, სსრ კავშირისა და ჩვენ ფეხბურთელები მას მოუგებენ. მეოთხეფინალში გასვლის საკითხი დამოკიდებულია სსრ კავშირის, მექსიკისა და ბელგიის ნაკრებთა მატჩებზე. საბჭოთა ნაკრებს ვიცნობთ. მართალია, 1968 წელს მასთან შეხვედრა მოსკოვში წავაგეთ 0:1, ნაკრამ უკეთესს ღირსი ვიყავით. რაც შეეხება ჩემპიონატის მასპინძლებს — მექსიკელებს, ჩვენ მათ ბრიუსელში მოვუგეთ 2:0, ხოლო მეხიკოში წავაგეთ 0:1. ასეა თუ ისე, ბელგიის გუნდი მეოთხეფინალში გავა. სავსებით მოსალოდნელია რომ სსრ კავშირისა და მექსიკის, აგრეთვე ბელგიისა და სსრ კავშირის გუნდების შეხვედრები ფრედ დამთავრდეს. ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი იქნება ბელგიისა და მექსიკის მატჩი. ამ შეხვედრამდე ჩვენს განკარგულებაშია 5 დღე, რაც საკმაოდ საკმარისია, როგორც დასვენებისათვის, ისე გადამწყვეტი მატჩისათვის მოსამზადებლად.

გ. ᲒᲣᲜᲓᲘᲝ,
ᲡᲐᲚᲕᲐᲓᲝᲠᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ყველაზე დიდი გამარჯვება ის არის, რომ მეხიკოს საგზური მოვიპოვეთ და ფინალისტთა რიგებში ვიმყოფებით. სალვადორის გუნდი ძირითადად ახალგაზრდულია და ასეთ დიდ ბრძოლებში გამოცდილება არა აქვს, მაგრამ ფარ-ხმალს არა ვყრით. მექსიკელების გარდა სხვა მეტოქეს ვერ ვხედავთ, არავის არ ვუფრთხით, რადგან ვიცით, რომ არაფერს ვკარგავთ.

Ე. ᲡᲐᲚᲓᲐᲜᲘᲐ,
ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ

ᲐᲡᲔ ბრძოლას მოწყურებული ბრაზილიელი ფეხბურთელები კარგა ხანია არ მახსოვს. მე მჯერა მათი და წარმატებასაც მოველი. არანაკლებ აღფრთოვანებული ვარ, ვიდრე ა. რამსეი. წილისყრა ჩინებული გამოდგა. მეც ამის მომხრე ვარ, რომ თავიდანვე ძლიერ მოწინააღმდეგისთან მქონდეს საქმე, რათა ბრაზილიელთა ნორალური განწყობა კიდევ უფრო მტკიცე იყოს. პრესაში ცოტა კომენტარს როდი აკეთებენ გუნდების პერსპექტივებზე. ასახელებენ ფინალისტებს, მათ შორის სსრ კავშირის გუნდსაც. რა მოხდება, ამის წინასწარ განსაზღვრა არ შემიძლია, მაგრამ ვფიქრობ, რომ საბჭოთა ფეხბურთელები, როგორც მინიმუმი, ნახევარფინალის კანდიდატები არიან.

ᲙᲔᲚᲘ,
ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ

ᲐᲛᲯᲐᲠᲐᲓ სამხრეთამერიკულმა ფეხბურთმა თავისი სიტყვა უნდა თქვას. კმაყოფილი ვარ, რომ კარგ კამპანიაში მოვხვდით, სასიამოვნოა თამაში ინგლისელებთან, ჩეხოსლოვაკიელებთან, რუმინელებთან.

ᲝᲠᲘ ᲛᲔᲢᲩᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დამთავრებამდე ორი მატჩი დარჩა, ორივე თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით. ერთ-ერთი მათგანი თბილისის „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ გუნდებს შორის შედგება ხვალ სპორტის სასახლეში.

ᲔᲘᲕᲔᲛ ᲓᲐᲙᲐᲡᲐᲮᲚᲔᲚᲐ...

ᲡᲐᲰᲐᲓᲠᲐᲪᲘᲐ სამყარო უნეიტალო ინტერესით მოელის სსრ კავშირიბა და „დინარჩენი მსოფლიოს“ მატჩს ჭადრაკში, რომელიც 29 მარტს დაიწყება ბელგრადში.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ᲔᲘᲕᲔᲛ, რომელიც ხელმძღვანელობს „დინარჩენი მსოფლიოს“ ნაკრებს დაასახელა გუნდის შემადგენლობა — ფიშერი, ლარსენი, პორტიში, ჰორტი, გლიგორიჩი, რეშევსკი, ულმანი, მატულოვიჩი, ნაიდორფი, ოკუოვი, ოლაფსონი და დარგა.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲠᲐᲓᲘᲝ

16 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ